# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 აპრილი 2005 №83 (2406) ფასი 50 თეთრი




## კიდევ ერთი მაჟორიტარული ვარიანტი: კახა რუსია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას, როგორც შევიტყვეთ, რეგიონული ლიგის ლიდერის „სენაკურის“ პრეზიდენტი კახა რუსიაც აპირებს.

— ვერაფერს ვიტყვი, კითხვას პრეზიდენტობის თაობაზე უკომენტაროდ დავტოვებ — გვითხრა გუშინ კახა რუსიამ.

შეგახსენებთ, რომ კახა რუსია იყო იმ სენაკის „ეგრისის“ პრეზიდენტი, რომელსაც თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც უთამაშია.

დღესდღეობით კახა რუსია საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის“ წევრია.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

## კახა კალაძე: მე ნემსაძის გუნდში ვარ

... ნემსაძეს ქართული ფეხბურთის ყველა პრობლემა საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. მან ძალიან კარგად იცის, რა უჭირს და ულხინს ჩვენს ფეხბურთს, ჩვენს ეროვნულ გუნდს. გიორგი ნემსაძე ნაკრების კაპიტანი იყო, ნაკრებში ყველაზე მეტჯერაც უთამაშია და ფედერაციის სამზარეულოში ჩახედულია...

... ნაკრები მთლიანად ქართული ფეხბურთის სახეა და რაც იქ ხდება, ზოგადად ჩვენი ფეხბურთის გასაჭირია. თუ მოედანი არ იქნა, ფეხბურთელი ყანაში ვერ გაიზრდება...

... ფეხბურთელები ჩვენს პოზიციას აქედანვე ვაფიქსირებთ: ფედერაციის პრეზიდენტად გიორგი ნემსაძე გვსურს.

UEFA CUP

## უეფასდაკლება

შეჯიბრებას შემორჩნენ: ალკმაარი, ცსკა, პარმა, სპორტინგი





AFP ფოტო





## ვარსკვლავი ბრუნდება

გახსოვთ მერიონ ჯონსი?

14

# მე ის ასათიანი არ ვარ
## ოთხი მადლობა ცხოვრებაში



*საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ მალხაზ ასათიანის პოპულარობა მოსკოვში დღითიდღე იზრდება. „ლოკომოტივმა" რუსულ პრემიერლიგაში სამი თამაში ჩაატარა და ჩვენებური ორჯერ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ჟურნალისტებმა. ახლახან კი „ლოკომოტივის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ქართველი ფეხბურთელი რკინიგზელთა ფანობის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მიიწვია.*

*მოკლედ, მალხაზ ასათიანი მოსკოველმა გულშემატკივრებმა „დაბომბეს" და ასეთი ინტერვიუც გამოვიდა...*

**— რას ფიქრობთ, როგორ დაიწყო „ლოკომოტივმა" სეზონი, კმაყოფილი ხართ?**

— ვფიქრობ, ცუდად არ დაგვიწყია. მაგალითად, წინა სეზონში უფრო უხეირო სტარტი გვქონდა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ცოტა გოლი გაგვაქვს, თუმცა საგანგაშოს მაინც ვერაფერს ვხედავ.

**— თქვენ კი სწორედ ნახევარდაცვაში თამაშით შეგიძლიათ, „ლოკომოტივს" სარგებელი მოუტანოთ. საქართველოს ნაკრებში ხომ ამ პოზიციაზე თამაშობთ და გოლებიც ხშირად გაგაქვთ...**

— „ლოკომოტივში" ჩემი დღევანდელი ყოფა სავსებით მაკმაყოფილებს. დაცვაში თამაშით დავიმკვიდრე ადგილი ძირითად შემადგენლობაში და თანაც იური სიომინი შეტევაში ჩართვას არ მიკრძალავს. მთავარია, უკან დაბრუნება დროულად მოვასწრო. სხვათა შორის, ბავშვობაში თავი მცველად ვერც კი წარმომედგინა.

**— ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი და რა მოგონებები დაგრჩათ საფეხბურთო სკოლიდან?**

— თამაში ქუთაისში დავიწყე. ჩემი პირველი მწვრთნელი კი თემურ ნადირაძეა, ვისაც ჩემს მეორე მამად მივიჩნევ. თავის დროზე ის ფინანსურადაც კი მეხმარებოდა.

**— რომელ ფეხბურთელს ბაძავდით ბავშვობაში?**

— ყოველთვის მომწონდა რობერტო ბაჯო.

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრების თამაშს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?**

— კარგად დავიწყეთ, მაგრამ... ბოლო ორი თამაში საბერძნეთთან და თურქეთთან ძალიან სუსტად ჩავატარეთ. საშინელი შთაბეჭდილება დამიტოვა ამ თამაშებმა მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებთან გოლი გავიტანე. შანსები კი პრაქტიკულად დავკარგეთ და ახლა ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

**— რას იტყვით საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ალენ ჟირესზე?**

— იგი ძალიან სასიამოვნო პიროვნება და კარგი მწვრთნელია. ჟირესს საქართველოში ძალიან აფასებენ, მაგრამ, ვფიქრობ, გუნდის გასაკეთებლად მას დრო სჭირდება. დიდი სითბოთი ვიხსენებ ივო შუშაკსაც, რომელმაც გზა გამიხსნა ნაკრებისკენ. შუშაკი ქუთაისის „ტორპედოში" თამაშისას მაკვირდებოდა და ჩემი ყოველთვის სჯეროდა. ამისთვის მისი მადლობელი ვარ.

**— როდის გაიგეთ პირველად, რომ თქვენით იური სიომინი დაინტერესდა?**

— ეს მოხდა 2003 წლის თანამეგობრობის თასის დასრულებისთანავე. „ლოკომოტივთან" სამნახევარწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ძალიან გახარებული ვიყავი, თუმცა თავიდანვე დიდი პრობლემები შემექმნა — ძირითად შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი და გადავწყვიტე, გუნდიდან წავსულიყავი. ამის შესახებ სიომინს და ფილატოვს ველაპარაკე კიდეც. სხვანაირად მოქცევა და სკამზე ჯდომა არ შემეძლო. ჩემი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში კი თამაშობდა, მაგრამ ეს მე საერთოდ არ მაინტერესებდა.

**— რუსეთში ისევე შეუძლიათ ქომაგობა, როგორც საქართველოში?**

— ქომაგები, რა თქმა უნდა, განსხვავდებიან. სხვადასხვა ტემპერამენტი აქვთ აქაურ და ქართველ გულშემატკივრებს. მთავარია, რომ რუსეთში მთელი სულით და გულით შენთან არიან.

**— მამათქვენი ცნობილი ფეხბურთელი იყო და ალბათ ამის გამოცაა, ფეხბურთით რომ დაინტერესდით...**

— ცდებით. ძალიან ხშირად ამბობენ, რომ კახი ასათიანის შვილი ვარ, მაგრამ ასე არ არის. მამაჩემი უბრალო ინჟინერია, არანაირი შეხება არ ჰქონია ფეხბურთთან და კარგა ხანს მირჩევდა კიდეც, სწავლაზე დამეხარჯა დრო. ჯერ ისწავლე დ თამაშს მერეც მოასწრებო. მე კი ვარჯიშებიდან დაღლილი შინ რომ ვბრუნდებოდი, ეზოში ვაგრძელებდი ფეხბურთის თამაშს. სწავლისთვის დრო არ მრჩებოდა და ამას ჩემი მშობლები ძალიან განიცდიდნენ. სამაგიეროდ, ახლა ამაყობენ ჩემით.

**— საქართველოს ნაკრების ევროპაში მოთამაშე წევრთაგან ვისთან უფრო მეგობრობთ?**

— სამწუხაროდ, ბიჭებთან შეხვედრას მხოლოდ სანაკრებო შეკრებაზე ვახერხებ.

**— თუ არის რუსეთში გუნდი, რომლის წინააღმდეგაც განსაკუთრებულად საინტერესოა თამაში?**

— ასეთად მოსკოვური კლუბები და სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" მიმაჩნია.

**— რატომ უყვარს სიომინს ქართველი ფეხბურთელები?**

— მგონი, ეს კითხვა მე არ მეკუთვნის.

**— რომელი გუნდებისგან ელით ამ სეზონში სიურპრიზს?**

— სიურპრიზებს ბევრისგან ველი და ეს კარგია. „რუბინი", „ტერეკი"... საინტერესო გუნდების ნაკლებობას არ ვგრძნობ.

**— თქვენს კარიერაში რომელი თამაში გახსოვთ ყველაზე კარგად?**

— ყველა, რომელშიც მოვიგეთ.

**— რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ გინდათ თამაში?**

— ამაზე არ მიფიქრია. ყველა თავდამსხმელს თავისი პლუს-მინუსი აქვს.

**— რომელ გუნდს ქომაგობთ ევროპაში?**

— „მილანს" და „ლოკომოტივს".

**— ვისთან მეგობრობთ „ლოკომოტივში"?**

— უფრო ახალგაზრდებთან — მარატ იზმაილოვთან, დინიარ ბილიალეტდინოვთან, იოვან იოვანოვიჩთან. რა თქმა უნდა, მიშა აშვეთიასთან. ისე კი, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— მოგწონთ მოსკოვში ცხოვრება?**

— აქ ყველაფერი მომწონს ორი რამის გარდა — ქუჩაში უამრავი საცობია და ძალიან ცივა.

**— რის მიღწევაზე ოცნებობთ ფეხბურთში?**

— ფეხბურთელისთვის აბსოლუტურად სტანდარტული ოცნება მაქვს: ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის მოგება. უბედნიერესი კაცი ვიქნები, ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზეც თუ ვითამაშებ. ქართველი ხალხი ნიჭიერია და ფეხბურთის აღმერთებს. ასე რომ, ჩვენ წარმატებას ვიმსახურებთ!

**— ინტერნეტით თუ სარგებლობთ?**

— არა, წიგნების კითხვა მირჩევნია.

**— თამაშის მერე ხშირად ხვდებით ბავშვთა საფეხბურთო ლიგის კოორდინატორ ბერტა პახოვას, „ლოკომოტივის" ლეგენდარული კაპიტნის გენადი ზაბელინის ქვრივს. მას დიდი ხანია იცნობთ?**

— ჩვენ საქართველო — რუსეთის მატჩის მერე გავიცანით ერთმანეთი. ძალიან სასიამოვნო და საინტერესო ქალბატონია. როცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი და პრობლემები მქონდა, ქალბატონი ბერტა ყოველთვის მამხნევებდა.

# თუ კანონმა ფეხზე დაგვიკიდა

**მანქანას** რომ საწვავი გამოელევა და უადგილო ადგილას გაჩერდება, ისეა ფოთის „კოლხეთის" საქმე. სხვა ქართულ კლუბებთან შედარებით, კოლხებს ფინანსურად მაინცდამაინც არ უჭირდათ, მაგრამ საქმეში სახელმწიფო ჩაერია — კანონი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ კლუბების დაფინანსებას კრძალავს, ფოთის პორტი კი „კოლხეთის" ერთადერთი მფარველი გახლდათ და დარჩა ზღვისპირული გუნდი უფულოდ. ჯერჯერობით საშველი არ ჩანს. ამ სეზონს როგორმე ჩავამთავრებთ და მერე რა იქნება, ღმერთმა იცის, გვითხრა „კოლხეთის" მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ.

„დღეს ან ხვალ ფოთის პორტის პრეზიდენტ თემურ მიმინოშვილს შევხვდები და რაღაც გაირკვევა. ეს გაჭირვება მიმინოშვილის ბრალი არაა, მას ფეხბურთი ძალიან უყვარს, მაგრამ კანონი არ აძლევს ჩვენი დაფინანსების საშუალებას."

პორტს კლუბის ვალი დაუგროვდა და, გაბელაიას თქმით, უახლოეს დღეებში ეს ვალები აუცილებლად დაიფარება, მაგრამ მერე?

„კოლხეთი" წინა ტურში ბოლნისში შეთხელებული შემადგენლობით ჩავიდა, რადგან წამყვანმა ფეხბურთელებმა უფულობის გამო თამაშზე უარი თქვეს. იგივე მოხდება კვირას „ვიტ ჯორჯიასთან" გასვლით მატჩშიც.

„ისევ ბავშვებით მოგვიწევს თამაში. რა ვქნათ, ავად თუ კარგად ეს სეზონი უნდა ჩავამთავროთ. „კოლხეთის" ჩემპიონატიდან მოხსნა საშინელება იქნება, ნამდვილად ვერ გეტყვით, პორტის ნაცვლად ვინ დააფინანსებს კლუბს. ალბათ სპონსორი გამოიძებნება, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვით".

საქართველოში კი, ხომ იცით, ღარიბი კლუბი მდიდარს (შედარებით) ძილს უფრთხობდეს, იშვიათია. ამიტომაც „კოლხეთის" კონკურენტ „სიონს" ხელ-ფეხი ეხსნება და...

**ილია ნანობაშვილი**

## უეფას თასი 2004-2005
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ალკმაარი 1:1 ვილიარეალი (2:1)
ოსერი 2:0 ცსკა (0:4)
პარმა 0:0 აუსტრია (1:1)
სპორტინგი 4:1 ნიუკასლი (0:1)

**ნახევარფინალი**

პარმა — ცსკა
სპორტინგი — ალკმაარი

*პირველი მატჩები გაიმართება 28 აპრილს, საპასუხოები — 5 მაისს*

## ინგლისი

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩი**

უოქინგი 2:0 გრეივსენდი

## როიალ ლიგა

**მესამე ტური**

რუსენბორგი 0:1 კოპენჰაგენი
გიოტებორგი 2:1 ვოლერენგა

## შვეიცარია

**სუპერლიგა**
**გადადებული მატჩები**

ციურიხი 0:2 სენტ გალენი
იანგ ბოისი 2:4 თუნი

**თასის**
**მეოთხედფინალი**

აარაუ 1:2 ლუცერნი

# კაპიტნების ამბავი

## კახა კალაძე: გიორგი ნემსაძე ვარ






— ნემსაძეს ქართული ფეხბურთის ყველა პრობლემა საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. მან ძალიან კარგად იცის, რა უჭირს და ულხინს ჩვენს ფეხბურთს, ჩვენს ეროვნულ გუნდს. გიორგი ნემსაძე ნაკრების კაპიტანი იყო, ნაკრებში ყველაზე მეტჯერაც უთამაშია და ფედერაციის სამზარეულოში ჩახედულია. ჩვენ, ფეხბურთელები, ჩვენს პოზიციას აქედანვე ვაფიქსირებთ: ფედერაციის პრეზიდენტად გიორგი ნემსაძე გვსურს. საერთოდ კი, დროა, ქართული ფეხბურთის სათავეში ის თაობა მოვიდეს, ვინც კარიერა ახლახან დაასრულა და პრობლემები სხვებზე უკეთ იციან. ერთხელაც გეტყვით, რომ ნემსაძეს, ჯამარაულს და ყაველაშვილს ნაკრებისა და მთლიანად ქართული ფეხბურთის გასაჭირი თავის თავზე აქვთ გამოცდილი და იგივეს არ გააკეთებენ, რამაც თავის დროზე მათაც ავნო.

**— არჩევნებამდე თითქმის ორი თვეა. დარწმუნებული ხარ, რომ იქამდე აზრს არ შეიცვლი? მოგვიანებით, ეგებ, სხვა კანდიდატის პროგრამა შენთვის უფრო მისაღები აღმოჩნდეს...**

— სათქმელი უკვე ვთქვი — გიორგი ნემსაძის გუნდში ვარ. ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, გიორგის რამდენჯერმე ვესაუბრე. დაწვრილებით გავეცანი მის სამოქმედო გეგმას და დავრწმუნდი, რომ ნემსაძის პროგრამა ქართულ ფეხბურთს სწორედ ისე განავითარებს, როგორც ყველა ჩვენგანს სურს...

აბა, ისაა საქმე, ეროვნულ გუნდს ორი საუკუნის წინანდელი მაისურები რომ აცვია და ისიც ორი კვირა არ გამოგვიცვლია, ლამის ტანზე შეგვახმა?! ისაა საქმე, რომ ბერძნებთან და თურქებთან ისეთ დღეში ვიყავით, სათამაშოდ გასვლა აღარ გვინდოდა, ბიჭებს ფეხები არ გვივარგოდა, კოჭები ატყავებული გვქონდა. ეს კი იმიტომ, რომ ნორმალურ მოედანზე არ გვივარჯიშია. ნემსაძეს ეს პრობლემები ნაწვნევი აქვს და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გამოასწორებს.

## მილანელს უკვირს: სან სიროა თუ „მიხეილ მესხი"?!

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და ლიდერმა, იტალიური „მილანის" მცველმა კახა კალაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე თითქმის ორი თვით ადრე თავისი პოზიცია დააფიქსირა — საპრეზიდენტო არჩევნებში ის გიორგი ნემსაძის მხარდამჭერი იქნება. კახა მარტივად და გასაგებად ამბობს:

**— კი მაგრამ, ქართული ფეხბურთი მარტო ნაკრები და უვარგისი მაისურები არ არის...**

— გეთანხმები, მაგრამ ნაკრები ხომ მთლიანად ქართული ფეხბურთის სახეა და რაც იქ ხდება, ზოგადად ჩვენი ფეხბურთის გასაჭირია. თუ მოედანი არ იქნა, ფეხბურთელი ყანაში ვერ გაიზრდება. რა პრობლემებიც ვახსენე, ეს მხოლოდ მაგალითისთვის, თორემ, კიდევ იმდენი რამ უჭირს ქართულ ფეხბურთს, ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი...

**— შენი აზრით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში ნემსაძემ პირველი რა უნდა გააკეთოს?**

— ვფიქრობ, ინვესტიციები უნდა მოიზიდოს, ბიზნესმენები, ფინანსურად შეძლებული ხალხი ფეხბურთით დააინტერესოს. ნაკრებზე არ ვლაპარაკობ, ზოგადად ქართულ ფეხბურთს სჭირდება სპონსორები. მაგალითად, ისეთები, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია.

**— მოკლედ, კალაძე და ნემსაძე ერთად არიან...**

— არა მარტო კალაძე და ნემსაძე, თითქმის ყველა ფეხბურთელი გიორგი ნემსაძის მხარდამჭერია...

*არადა, კახა კალაძეს სამშობლოს „ინტერ" — „მილანის" მატჩისას მომხდარი უწესრიგობის გამო დავუკავშირდით...*

— თავი საქართველოში მეგონა, „ინტერის" ქომაგებს რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი მოედანზე ისროლეს. ტრიბუნაზე დიდი ამბავი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

**— ამბობენ, „ინტერის" ქომაგებმა ასეთი ამბავი კლუბის პატრონის საწინააღმდეგოდ ატეხეს.**

— არ ვიცი, ვისთვის და რატომ გააკეთეს ასე „ინტერის" ტიფოზებმა. ისინი გუნდის შედეგებით არიან გაღიზიანებულნი. „ინტერი" ძალიან ფულს ხარჯავს, კარგ [illegible] გუნდს გააკეთებდა, მაგრამ ვერაფერი მოიგო. ამ სეზონში ჩვენთან სულაც სამი მატჩი წააგეს. ეს ამბავი კი „ინტერის" ქომაგებისთვის მძიმე ასატანია.

**— იტალიელთაგან ჩემპიონთა ლიგაში ახლა მხოლოდ „მილანი" დარჩა...**

— ძალიან გახარებულები ვართ და თასის მოპოვებაზე ვფიქრობთ. სამისოდ კარგი შანსები გვაქვს, თუმცა არ უნდა მოვდუნდეთ.

**— „იუვენტუსი" ლიგიდან გავარდა. არ ფიქრობ, რომ ჩემპიონატში უკვე მთელი ძალით ითამაშებს და სკუდეტოს შენარჩუნება ახლა უფრო გაგიჭირდებათ?**

— რა თქმა უნდა, „იუვენტუსს" ახლა მხოლოდ ჩემპიონატი დარჩა საფიქრალი, მაგრამ დათმობას არც ჩვენ ვაპირებთ. „მილანს" საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და ლიგაში და ჩემპიონატში ძალების განაწილება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**კობა ინასარიძე**

---

# თქვენი ინტერვიუ
# კახა კალაძესთან
**«მილანი» მილანი, იტალია**

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



# მეორე სად გაგვექცევა

## გია მეგრელაძე გოლაობას გააგრძელებს



**საქართველოს** მე-16 ერო-ვნულ ჩემპიონატს ორი გამორჩეული მეგოლე ჰყავს — ქუთაისის „ტორპედოს" ჯილა გია მეგრელაძე დინამოელ ლევან მელქაძეს ორი ბურთით ჩამორჩება. იშვიათია თამაში, მეგრელაძემ თავისი ულუფა არ მიითვალოს, თანაც გადამწყვეტ მომენტებშიც ბევრჯერ გაუტანია და მისი დიდი დამსახურებაა, „ტორპედო" ჩემპიონობისთვის რომ ჭიდაობს.

„ამ სეზონში მართლაც კარგ ფორმაში ვარ. ბომბარდირობას რა სჯობია, მაგრამ ეგოისტი არ ვარ, მთავარია, გუნდმა მოიგოს. ისე, მელქაძეს თუ გადავასწარი, უცხოეთში წასვლის შანსი გამეზრდება, ჯერჯერობით კი წინადადება არავისგან მიმიღია. ქუთაისში დარჩენასაც არ გამოვრიცხავ".

გეხსომებათ, მშვენივრად ჩატარებული პირველი ეტაპის შემდეგ მეგრელაძის თბილისის „დინამოში" გადასვლა თითქმის ბეჭედდასმული იყო, თუმც გიას ისევ „ტორპედოსთვის" გააქვს გოლები და არც ნანობს ქუთაისში დარჩენას.

„თბილისის „დინამო" კარგი ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ გაუგებრობის გამო ჩაიშალა ტრანსფერი. არავისზე ნაწყენი არ ვარ. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, რომ „ტორპედოში" დავბრუნდი. ჩვენ ჩემპიონობის 40-პროცენტიანი შანსი გვაქვს, დანარჩენი კი „დინამოსია". მოკლედ, მეორე ადგილი გარანტირებული მგონია".

„ტორპედოს" მთავარ ფორვარდს „თბილისი" შემთხვევით არ გამორჩენია, ამბობს, ძალიან ახალგაზრდული გუნდია და ვეჭვობ, საჩემპიონოდ „გაიქაჩოსო".

„არა მგონია, „თბილისმა" კვირას „ზესტაფონს" მოუგოს. მართალია, ჩვენც ძნელი თამაში გველის თბილისში „ლოკომოტივთან", მაგრამ მოსაგებად თავს დავდებთ" — ამბობს გია მეგრელაძე.

კითხვაზე კი, ვინ არის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი, ერთი უსათუო პასუხი აქვს — ლევან მელქაძე.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**საქართველოს პირველი პირველი 16 ჩემპიონატი ლიგა წრე 22 ტური**

# ამერი სახელს უგებს და სახელს იხვეჭს

**სოსო კოტორეიშვილი**

ერთი წელი გასრულდა მას შემდეგ, რაც გიორგი ჩიხრაძეს „ამერი" ჩააბარეს. ამ ერთი წლის თავზე, „დინამო 2-თან" გუშინდელ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ „ჩიხოს", საქართველოს ნაკრების ყოფილ მცველს, თავის სამწვრთნელო მარაგში ისეთი ცოდნა-ხერხები დაუგროვებია, გატეხილი გუნდის მოფერიანებასა და მოსაგებად მომართვას რომ შეაძლებინებს.

„დინამო 2" არ არის „დინამო", მაგრამ მაინც... სახელია, „დინამო", ის გუნდია, რომელმაც პირველ წრეში „ამერს" 0:1 2:1-ით უცვალა.

სწორედ პირველი წრის მატჩი გაგახსენდებოდათ გუშინდელი შეხვედრის მეორე ტაიმის 48-ე წუთზე, როცა დინამოელთა მცველმა ბარამიძემ 35 მეტრიდან „ამერის" იუბილარ მეკარე რევაზ ნაჭყეპიას მართლაც ლამაზი გოლი რომ გაუტანა და ანგარიში გაათანაბრა. მანამდე კი იყო პირველი ნახევარი და მასპინძელთა ადრიანი გოლი. მე-8 წუთზე გიზო ჯელაძე დინამოელმა მცველმა საჯარიმოში მოცელა და ამერელთა პენალტისტმა გიორგი დეკანოსიძემ გასატანი გაიტანა.

დავუბრუნდეთ მეორე ტაიმს, სტუმართა გამთანაბრებელ გოლს და გიორგი ჩიხრაძეს. „ამერის" მწვრთნელმა მოძალებულ ჭაბუკ დინამოელებს ორი ისეთი შეცვლა შეაგება, რომელმაც თამაშის ხასიათი შეცვალა. ალეკო კაიდარაშვილის ნაცვლად შესულმა მირზა ბუალავამ ამერელთა ნახევარდაცვის ცენტრალურ ზონას მეტი სიხისტე შემატა, ხოლო გივი ჩხეტიანის მაგივრად მოთამაშე გიორგი სილაგავამ მარცხენა ფრთაზე ისე ინავარდა, რომ მანამდე „ამერის" კარზე დაგეშილ დინამოელთა კაპიტან ქუცურუას შესატევად აღარც მოუცლია.

სწორედ სილაგავამ გაიტანა ის გოლი, რომელმაც სტუმარი გატეხა და მასპინძელი გაალაღა. ბუალავა-დეკანოსიძის გარჯისა და გამორჩეულად გიზო ჯელაძის მარჯვენა ფლანგზე აქტიური თამაშით „ამერი" მეტოქეს მიაწვა და ბევრი გასატანიდან მხოლოდ სამი გაიტანა. სამივე ლამაზი, მახვილგონიერული კომბინაციით. იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ 5 გოლიდან არცერთია ამერელთა საუკეთესო ბომბარდირის სულიკო დავითაშვილის ანგარიშზე, თუმც „აბრეზამ" იმდენი იშრომ-იწვალა, სათავისო სილაგავას გაატანინა და სანამ მოედანზე იყო, დინამოელთა დაცვას საქმე არ მოაკლო.

„ამერის" ლიდერი კი, მაინც ვიტყვით, მწვრთნელი იყო. „ამერი" თამაშ-თამაშ უმატებს, გიორგი ჩიხრაძე კი თამაშ-თამაშ თამაშების მოტრიალებას სწავლობს.

თბილისი. 14 აპრილი. 16 საათი. ფკ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი

**ამერი 5:1 დინამო 2**

1:0 დეკანოსიძე (8), 1:1 ბარამიძე (48), 2:1 სილაგავა (58), 3:1 სევასტოპულო (60), 4:1 დეკანოსიძე (82), 5:1 წინამძღვრიშვილი (90)

**ამერი:** ნაჭყეპია, დავითაძე, ბერიანიძე, ხვადაგიანი, დეკანოსიძე, ზ. ჯელაძე, გ. ჩხეტიანი (სილაგავა 54), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი (ბუალავა 57), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 75), სევასტოპულო

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**დინამო 2:** შეყრილაძე, ბარამიძე, მამნიაშვილი (ფოცხვერია 46), თომაშვილი, მარკოზაშვილი (დათუნაშვილი 63), ქუცურუა, მერებაშვილი, ჩირიკაშვილი, ბურჯანაძე, კორესელიძე (გეწაძე 57), კვიტაიშვილი

**მწვრთნელი:** კახა კაჭარავა

**გაფრთხილება:** მამნიაშვილი (45)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. ცირდავა, კ. ბერიძე; ა. მეშკოვი

**კახეთი 2:0 ივერია**

**გურია 1:0 რუსთავი**

**მერანი 1:3 ვიტ ჯორჯია**

**ლოკომოტივი 2 1:1 სპარტაკი**

**ოლიმპი 1:0 ჩიხურა**

**ცხინვალი 4:0 მაღაროელი**

დღეს გაიმართება

**ბორჯომი — საგარეჯო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 21 | 17 | 2 | 2 | 57:23 | 53 |
| ამერი | 22 | 17 | 1 | 4 | 66:13 | 52 |
| სპარტაკი | 22 | 13 | 7 | 2 | 38:21 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 13 | 5 | 4 | 36:16 | 44 |
| კახეთი | 22 | 13 | 3 | 6 | 36:26 | 42 |
| ცხინვალი | 22 | 11 | 3 | 8 | 30:25 | 36 |
| გურია | 22 | 9 | 5 | 8 | 24:29 | 32 |
| დინამო 2 | 22 | 10 | 1 | 11 | 47:39 | 31 |
| ჩიხურა | 22 | 7 | 6 | 9 | 23:26 | 27 |
| ლოკომოტივი 2 | 22 | 7 | 5 | 10 | 28:35 | 26 |
| რუსთავი | 22 | 7 | 3 | 12 | 27:35 | 24 |
| ივერია | 22 | 6 | 5 | 11 | 20:34 | 23 |
| მერანი | 22 | 6 | 3 | 13 | 26:39 | 21 |
| ოლიმპი | 22 | 5 | 4 | 13 | 21:36 | 19 |
| საგარეჯო | 21 | 3 | 5 | 13 | 17:45 | 14 |
| მაღაროელი | 22 | 0 | 4 | 18 | 10:64 | 4 |




„ამერმა" ხუთი გაიტანა და ერთი ამდენიც ვერ გაიტანა



მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე ერთი წლის გახდა





ლუსიენ ლორენი ბურთს ახალგაზრდობაში და ჭარმაგობაშიც მოხდენილად აგორებდა

# კაცი, რომელმაც დაიწყო

*„სარბიელმა“ უკვე გაუწყათ, რომ ორშაბათს, საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის კლინიკაში 97 წლისა გარდაიცვალა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლის ავტორი ლუსიენ ლორენი.*

*მუსიე ლორენის ნეშტს დღეს მიაბარებენ მიწას, ჩვენ კი ორიოდ სიტყვით მის შესახებ მოგახსენებთ*

**დავიწყოთ** გოლით: ეს იყო 1930 წლის 13 ივნისს, ურუგვაიში, მონტევიდეოს „ესტადიო პოსიტოსზე“, საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებთა შეხვედრაში, რომელიც ფრანგებმა 4:1 მოიგეს. ლუსიენ ლორენმა ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა და მუნდიალზე „ლურჯების“ პირველ გამარჯვებას დაუდო საფუძველი, თუმცა შემდგომ შეხვედრებში მათ არგენტინისა და ჩილეს ნაკრებებთან წააგეს და შეჯიბრებას პირველივე ეტაპიდან გამოეთიშნენ. ამ სამი შეხვედრიდან ლორენმა ორში ითამაშა, მესამე კი არგენტინასთან მიღებული ტრავმის გამო გამოტოვა.

აღსანიშნავია, რომ ისტორიული გოლი ლორენმა მისი კარიერის მხოლოდ და მხოლოდ მეორე სანაკრებო მატჩში შეაგდო, სულ კი საფრანგეთის ეროვნულ გუნდს ათ შეხვედრაში ემსახურა და ამდენივეჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

ლუსიენ ლორენი 1907 წლის 10 დეკემბერს, პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვალ დე მარნეს რეგიონში დაიბადა. 1920-1940 წლებში იგი თამაშობდა „პარიზში“, „სოშოში“, „კლუბ ფრანსეზში“, „რენში“, „სტრასბურსა“ და „ბეზანსონში“, თუმცა მისი ცხოვრება მხოლოდ ფეხბურთისგან არ შედგებოდა. კერძოდ, ურუგვაის მსოფლიოს ჩემპიონატამდე იგი „პეჟოს“ ბეზანსონის ფილიალში მუშაობდა, ხოლო ნახევრადპროფესიულ „სოშოში“ ბურთის გორება მხოლოდ გართობად მიაჩნდა.

1942 წელს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი ლუსიენ ლორენი ნაცისტებმა დაიჭირეს და საპყრობილეებს თავი მხოლოდ სამი წლის შემდეგ დააღწია. ომის შემდგომ წლებში კი „პეჟომ“ მისთვის გამონაკლისი დაუშვა და ნება დართო დილაობით „სოშოში“ მწვრთნელად ყოფილიყო, საღამოობით კი ქარხანაში ემუშავა.

**ბაკუნა ძიძია**

## მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპების იუბილარი მეგოლეები

| გოლი | ფეხბურთელი | ქვეყანა | ვისთან | წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლუსიენ ლორანი | საფრანგეთი | მექსიკასთან | 1930 |
| 100 | ენცო სკიავიო | იტალია | აშშ-სთან | 1934 |
| 200 | მატიას კელერი | შვედეთი | კუბასთან | 1938 |
| 300 | ჩიკო | ბრაზილია | ესპანეთთან | 1950 |
| 400 | მორლოკი | გფრ | თურქეთთან | 1954 |
| 500 | ბობი კოლინზი | შოტლანდია | პარაგვაისთან | 1958 |
| 600 | დრაგან იერკოვიჩი | იუგოსლავია | ურუგვაისთან | 1962 |
| 700 | პაკ-სუნ ჟინი | კსდრ | ჩილესთან | 1966 |
| 800 | გერდ მიულერი | გფრ | ბულგარეთთან | 1974 |
| 900 | ექტორ იასალდე | არგენტინა | ჰაიტისთან | 1974 |
| 1000 | რობ რენსენბრინკი | ჰოლანდია | შოტლანდიასთან | 1978 |
| 1100 | სერგეი ბალტაჩა | სსრკ | ახალ ზელანდიასთან | 1982 |
| 1200 | ჟან-პიერ პაპენი | საფრანგეთი | კანადასთან | 1986 |
| 1300 | გარი ლინეკერი | ინგლისი | პარაგვაისთან | 1986 |
| 1400 | ჯონი ეკსტრიომი | შვედეთი | კოსტა რიკასთან | 1990 |
| 1500 | კლაუდიო კანიჯა | არგენტინა | ნიგერიასთან | 1994 |
| 1600 | პიერ ისა | სამხრეთ აფრიკა | საფრანგეთთან | 1998 |
| 1700 | ოლივერ ბირჰოფი | გერმანია | ირანთან | 1998 |
| 1800 | ბეტუ სევერუ | პორტუგალია | აშშ-სთან | 2002 |
| 1900 | კრისტიან ვიერი | იტალია | სამხრეთ კორეასთან | 2002 |
| 1916 | რონალდო | ბრაზილია | გერმანიასთან | 2002 |

# დიდა, დაღიანო! შევჩენკოს თავი არ დაუმტკივდა

*მილანური ევროდერბის ჩაშლის ამბავს უეფა დღეს გაარჩევს. „სან სიროზე“ ატეხილი ბათქა-ბუთქისგან დაზარალებული დიდა კი სამართალდამცავებს მეტი სიმკაცრისკენ მოუწოდებს. „მილანის“ ბრაზილიელ მეკარეს პეტარდისგან ხომ მარჯვენა მხარი დაეწვა, თუმც ამჟამად თავს კარგად გრძნობს*

**„ყველას** გვსურს, რომ ფეხბურთი საამო სანახავი იყოს, სადაც გულშემატკივრები თავიანთ გუნდებს ნორმალურად უქომაგებენ — თქვა დიდამ — აუცილებელია გადამწყვეტი ზომების მიღება, რათა აღარ განმეორდეს იგივე, რაც „სან სიროზე“ მოხდა. ახლა უკეთ ვარ. მხარი ოდნავ დამეწვა, მაგრამ ჰოსპიტალში ვიყავი და მიწამლეს. მომდევნო ტურში „სიენასთან“ აუცილებლად ვითამაშებ. რაც ყველაზე ძალიან მესიამოვნა ისაა, რომ ინტერელებმა, სინიშა მიხაილოვიჩმა, ხავიერ ძანეტიმ და კლუბის პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ დამირეკეს და მომიკითხეს. რაც შეეხება ესტებან კამბიასოს გატანილ და არჩათვლილ გოლს, მარკუს მერკი ამ შემთხვევაში მართალი იყო: ნაბიჯი უკან უნდა გადამედგა და ბურთისთვის ავმხტარიყავი, რომ ხულიო კრუზმა დამიჭირა. მსაჯმა წესის დარღვევა ადეკვატურად შეაფასა და გოლი გააუქმა. ბედნიერი ვარ, რომ ნახევარფინალში გავედით. ამას ვიმსახურებდით კიდეც, განსაკუთრებით კარგად კი [illegible] დაცვამ ითამაშა“.

„ინტერ“ — „მილანის“ მესამე წუთზე მარკო მატერაცი და ანდრეი შევჩენკო [illegible] და ერთმანეთს თავები [illegible] ისე ჩანდა, რომ თავიდან [illegible] „ურჯინა“ და [illegible] დასჯილიყო კიდეც, მაგრამ უეფას გუშინდელი განცხადების თანახმად, „მილანის“ ფორვარდს სასჯელი არ ემუქრება. მარკუს მერკის [illegible] ამ ძიძგილაობაზე არაფერი სწერია, გვერდით მსაჯს მთავარი არბიტრისთვის არაფერი უთქვამს და შესაბამისად, საქმეც არ გაიხილება.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ კი შინაგან საქმეთა მინისტრ მარკო პიზანუს დაავალა, უმკაცრესი ზომების გამოყენებით სასწრაფოდ აღკვეთოს უწესრიგობა სერია A-ს მატჩებში.

**ვაჟა ხუციშვილი**





ანდრეი შევჩენკო და ნელსონ დიდა „მილანს“ ნახევარფინალში არ დააკლდებიან

## Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2004

**III ჯგუფი. IV ტური**

**სთრონგესტი** (ბოლივია) 0:0 **უნივერსიდად დე ჩილე** (ჩილე)

**სან პაულუ** (ბრაზილია) 3:1 **კილმესი** (არგენტინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ (ბრაზილია) | 4 | 2 | 2 | 0 | 12:8 | 8 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| კილმესი (არგენტინა) | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| სთრონგესტი (ბოლივია) | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |

**VI ჯგუფი. V ტური**

**კარაკასი** (ვენესუელა) 2:5 **ტიგრესი** (მექსიკა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიგრესი (მექსიკა) | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 11 |
| ბანფილდი (არგენტინა) | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| ალიანსა (პერუ) | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

## ლივერსული, ლივერგული, ლივერპული

### იუვენტუსს – შემოქმედებითი პოტენციალი = გავარდნას

**თითქმის** ერთნაირად იწყებს ყველა ევროპული ინტერნეტ სერვერი თუ ვებ-გვერდი: ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ „ლივერპულის“ ჩინებულმა დაცვითმა თამაშმა... ინგლისურმა „ლივერპულმა“ საუცხოოდ ორგანიზებული დაცვის წყალობით... და ასე შემდეგ.

და მართლაც, ტურინში ანუ მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში, ბრწყინვალედ აწყობილი დაცვითი ფეხბურთის გამოისობით „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისკენ გაიკაფა გზა და ახლა იქ „ჩელსის“ ელის.

ინგლისელთა საოცრად ორგანიზებულ ნახევარდაცვასა და დაცვას „იუვენტუსმა“ გუშინწინ ვერაფერი დაუპირისპირა. ტურინელებს არ ეყოთ სიმძლავრე, ფანტაზია თუ შემოქმედებითი პოტენციალი საიმისოდ, რომ ენთუზიაზმით ავსებულ ჩამძლელ-ჩამხშობთა რაზმისთვის სიმწყობრე აერიათ. მეტიც, თამაშის ყველაზე მწვავე ეპიზოდი სწორედ მათ კართან შეიქმნა — იმ მომენტზე მოგახსენებთ, როდესაც მილან ბაროშს „ბებერი ქალბატონის“ კარში გოლის გატანა არა თუ შეეძლო, არამედ არც მეტი, არც ნაკლები, მართებდა.

აღსანიშნავია, რომ ფაბიო კაპელომ ამ შეხვედრაში გუნდი ჩვეულთან შედარებით სახეცვლილი შემადგენლობა ათამაშა. კერძოდ, ჯონათან ძებინას ტრავმის გამო, მან დაცვის მარჯვენა ფრთა ოდინდელ მარჯვენა მცველ ლილიან ტურამს ჩააბარა, შესაბამისად შუაში, ტურამის ადგილას ვეტერანი პაოლო მონტერო გასარჯა, ხოლო ნახევარდაცვაში რუბენ ოლივერას გამოჩენით, თეორიულად, გუნდის შემტევი პოტენციალი გაუზარდა.

წინა მატჩთან შედარებით გადა-





AFP ტურინიდან

სტივენ ჯერარდის არყოფნაში, რაფაელ ბენიტესმა ხაბი ალონსოზე გააკეთა აქცენტი

ტურინი. „სტადიო დელე ალპი“. 55 464 მაყურებელი

**იუვენტუსი 0:0 *ლივერპული* (1:2)**

ბუფონი, ტურამი, მონტერო (პესოტო 83), კანავარო, კამორანეზი (აპია 84), ემერსონი, ოლივერა (ზალაიეტა 46), ძამბროტა, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, ნუნიესი (შმიცერი 58), ხაბი ალონსო, ზიშკანი, რიისე, ლუის გარსია (ლე ტალეკი 85), ბაროში (ჯ. სისე 76)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ხაბი ალონსო, მონტერო, იბრაჰიმოვიჩი, ძამბროტა, ემერსონი, ფინანი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

ხალისებული გახლდათ „ლივერპულის“ შემადგენლობაც. კაპიტნის, სტივენ ჯერარდის არყოფნაში ნახევარდაცვის ცენტრალური ფუნქცია რაფაელ ბენიტესმა თანამემამულე ხაბი ალონსოს ჩააბარა, კარში ირჟი დუდეკი დააბრუნა, ხოლო ანტონიო ნუნიესი ფრანგ ლე ტალეკს ამჯობინა. აქ ყველაფერზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ხაბი ალონსოსთვის „იუვენტუსთან“ თამაში გახლდათ პირველი გამოცდა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ და ეს გამოცდა ესპანელმა ჩინებულად ჩააბარა.

„ეს იყო ძალიან გაწონასწორებული შეხვედრა, რომელშიც ორივე გუნდს თითზე ჩამოსათვლელი საგოლე მომენტი ჰქონდა. პირველ ტაიმში ზლატან იბრაჰიმოვიჩს რომ გამოეყენებინა თავისი შანსი, სულ სხვა შედეგს მივიღებდით, მაგრამ ასე არ მოხდა. „ლივერპული“ კი ის გუნდია, რომელსაც შეტევაში სიძნელეების შექმნა შეუძლია, ხოლო დაცვაში ათი კაცით თამაში. მე თუ მკითხავთ, ორივე მატჩი, როგორც ლივერპულში, ასევე ტურინში, ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ პირველში მასპინძლებმა უკეთ ისარგებლეს მომენტებით. ამ სეზონში ჩვენი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა გახლდათ, ამიტომ ძალიან განაწყენებულნი გახლავართ.ვულოცავ რაფაელ ბენიტესს, მან ღირსეული ფრე დაგეგმა და საწადელს მიაღწია“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „იუვენტუსის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

რაფაელ ბენიტესი: „ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიეთ, რითაც ბედნიერი ვარ. ამ თამაშისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით. როგორც ხედავთ, შრომა დაგვიფასდა. ჩვენ ძალიან სოლიდურად ვითამაშეთ, სტივენ ჯერარდის არყოფნაში კი ხაბი ალონსომ გასწია დიდი სამუშაო. ამოდენა უმოქმედობის შემდეგ მისგან მთელი მატჩის ასეთი დატვირთვით თამაშს არ ველოდი. ახლა „ჩელსის“ ვხვდებით და ფავორიტი ცხადია მეტოქეა, მაგრამ ჩვენ ფინალში გასასვლელად ყველა ღონეს ვიხმართ.“

**პაპუნა კედია**



AFP ტურინიდან

ლივერპულელებმა მასპინძლები ჰაერშიც დაჯაბნეს



თამაშის დაწყებამდე ატეხილი ჩხუბი ტურინელმა კარაბინიერებმა ჩააცხრეს

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

## ბრაზილიური საღამო ჰოლანდიაში
## ძალით დარტყმული პენალტი



ამბობენ, პენალტების სერია ლატარეააო, მაგრამ ჰოლანდიელთა მეკარე გომესს ნაჯაფს ნამდვილად ვერავინ დაუკარგავს

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. 34 000 მაყურებელი

**პსვ 1:1დ.დ.(პენ.4:2) ლიონი (1:1)**

0:1 ვილტორდი (10), 1:1 ალექსი (50)

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბისლი 57), ფარფანი (რობერტი 85)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (ნილმარი 95), გოვუ (ბენ აფრა 88)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გაფრთხილება: აბიდალი, დიარა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

**„ДИДЕБУЛИ**

„**დიდებული** საღამო იყო ჩვენთვის და ჰოლანდიური ფეხბურთისთვის — თქვა ნამატჩევს გახარებულმა გუს ჰიდინკმა — შარშან, აგვისტოში „ცრვენა ზვეზდათი“ დავიწყეთ და ახლა ნახევარფინალში ვართ. ამას ვინ წარმოიდგენდა? პსვმ გუნდური სული აჩვენა, მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა და ალექსის გამთანაბრებელი გოლიც ბრწყინვალე გამოვიდა. დამატებითი დროის პირველ ტაიმში გრძელი პასებით თამაში გადავწყვიტეთ, მაგრამ მეორე ნახევარში ტაქტიკა შევცვალეთ და მოკლე პასებზე ავაწყვეთ. ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ და იღბალი არაფერ შუაშია. პენალტების დამრტყმელთა ნუსხა მატჩის წინა დღეს შევადგინე, ზოგიერთი ფეხბურთელი კი, მაგალითად ვილფრედ ბუმა, ვაიძულე, რომ პენალტი შეესრულებინა და მიხარია, რომ მან გაიტანა. ახლა „მილანი“ გველის, რომელსაც 1988 წელსაც შევხვდით და მოვუგეთ“.

აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: 1988 წელს, პსვ-მ ჩემპიონთა თასი მოიგო, მაგრამ მეოთხედფინალში „ბორდოს“, ნახევარფინალში „რეალს“, ფინალში კი „ბენფიკას“ სძლია. ასე რომ, ან გახარებულ გუს ჰიდინკს უღალატა მეხსიერებამ ან უეფას მევებგვერდე შეცდა. „მილანი“ და პსვ აქამდე მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — 1992-93 წლების ჩემპიონთა ლიგაში იტალიელებმა ორივე თამაში მოუგეს ჰოლანდიელებს: სტუმრად 2:1 და შინ 2:0.

მოკლედ, „პსვ ეინდჰოვენი“ 17 წლის შემდეგ კვლავ ნახევარფინალშია და გუნდი თავის შემტევი, ლაღი ფეხბურთით ნამდვილად იმსახურებს ამას. ეგებ ვინმემ თქვას, წილისყრამ გაუმართლა, ჯერ „მონაკო“, მერე კი „ლიონი“ შეხვდა, ეს გუნდები ხომ ევროგრანდები არ არიანო, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეინდჰოვენელებს ჰყავთ გუს ჰიდინკი — უაღრესად გამოცდილი მწვრთნელი, რამაც საბოლოოდ გადაწონა კიდეც ახალგაზრდა დიდი დეშანიც და პოლ ლე გუენი. უდავოა, „ლიონი“ საკმაოდ სიმპათიურ ფეხბურთს თამაშობს და პსვ-სთან ორი მატჩის ჩათვლით ჩემპიონთა ლიგის ყველა მატჩში გაიტანა გოლი, მაგრამ „ვერდერთან“ ათმა გატანილმა გოლმა ეგებ ცუდი სარეკლამო სამსახურიც გაუწია.

„ჩემს სამწვრთნელო კარიერაში, ეს მარცხი ყველაზე გულსატკენია — განაცხადა პოლ ლე გუენმა — რადგან ორივე შეხვედრაში ჩვენ დავწინაურდით, უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ, ძირითად დროში არ წაგვიგია და პენალტების სერიამ გაგვწირა. არა უშავს, წაგება ღირსეულად უნდა გადავიტანოთ, ცხოვრება გრძელდება. ლიგის ამ სეზონში მხოლოდ ერთმა გუნდმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოგვიგო. პსვ-ს ჩვენზე მეტი საგოლე მომენტი არ ჰქონია, მეორე ტაიმში კრისის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და ის რომ გასულიყო... რაც შეეხება ნილმარის წაქცევას, აქ მსაჯი აშკარად შეცდა, რაც ვიდეოზეც ვნახე“.

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა: „ძალიან საწყენი მარცხია, რადგან მეტოქეებს თანაბარი შანსები ჰქონდათ, მაგრამ მსაჯი რამდენჯერმე პსვ-ს სასარგებლოდ შეცდა. ძირითადი დროის მიწურულს ფლორენ მალუდას შეტევა არ დაასრულებინა, დამატებულ დროში კი ნილმარის წაქცევისთვის ათასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა“.

რამდენიმე სიტყვით მსაჯობაზეც ვთქვათ: მატჩში ორივე გუნდის ფეხბურთელები გვარიანად უხეშობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კიმ-მილტონ ნილსენმა თავიდანვე გააფრთხილა გულმოსული ფეხბურთელები. განსაკუთრებით ლიონელი მაჰამადუ დიარა გამოირჩეოდა, რომელმაც ჯერ მარკ ვან ბომელს ნიკაპში ამოარტყა ქაცვები, მერე კი კორეელი ლი ზედ კისერზე დასცა. დანიელ მსაჯს არ სურდა თამაშის „გაფუჭება“ და არაერთხელ შეიკავა თავი, ამა თუ იმ ფეხბურთელისთვის მეორე ყვითელი ბარათის ჩვენებისაგან. მეტოქეებმაც ამით ისარგებლეს და ერთმანეთს ფეხებში გულმოდგინედ ურტყეს.

პსვ-ს თავიდან ოდნავ ნერვიულობა ეტყობოდა, რადგან მცველები ერთიმეორის მიყოლებით შეცდნენ, რასაც სილვენ ვილტორდის გოლი მოჰყვა — ისევე როგორც ლიონურ მატჩში, მასპინძელთა მეკარე გომესმა ბურთი ხელში ამჯერადაც ვერ შეიმაგრა. ამის შემდეგ სტუმრებს ორი კარგი მომენტი ჰქონდათ, ვერ გამოიყენეს და პსვ-ც ნელ-ნელა „დაიქოქა“.

კორეელები პარკი და ლი [illegible] ნავარდობდნენ [illegible], მაგრამ ეინდჰოვენელთა [illegible] ვენეგოორ ოფ ჰესელინკი [illegible] მცველებში ჩაიკარგა. [illegible] ბურთს იშვიათად იღებდა [illegible] ფარფანი და მარკ ვან ბომელი [illegible] ლად თამაშობდნენ, ხოლო [illegible] აღნიშვნის ღირსნი არიან მისი მცველები, ალექსი და ვილფრედ ბუმა. ორივე კარგად ერთვებოდა შეტევებში. სწორედ ალექსმა გაათანაბრა მეორე ტაიმის დასაწყისში [illegible] დარტყმით, რომ [illegible] გაუვნებელყო დარტყმა.

თავის მხრივ ლიონელთა ბრაზილიელი მცველი კრისიც [illegible] მეორე ტაიმის შუაში, როცა მისი გასრიალებული ბურთი [illegible] კარის ხაზიდან გამოიტანა. მერე კი მაკრაჩელა დაჰკრა და ოდნავ აცილა [illegible].

აქ ორი ბრაზილიელი [illegible] ორი სხვა კიდევ ეინდჰოვენის გმირი გახდა: მეკარე გომესი, რომელიც პენალტების დროს რაღაცას ბუტბუტებდა, ორი დარტყმა მოიგერია, ხოლო შეცვლაზე შემოსულმა რობერტმა „თერთმეტმეტრიან ლატარეაში“ გამარჯვებისა [illegible].

ბოლოს კი პოლ ლე გუენის [illegible] ნაყურობაზე: პსვ-სთან სამივე შეხვედრაში შეცვლა არ გააკეთა და მხოლოდ საპასუხო მატჩში, გუშინწინ, 88-ე წუთზე „გაახსენდა“. შედეგად, სილვენ გოვუს ნაცვლად ჰატემ ბენ აფრა შეუშვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ნახევარფინალი

26 აპრილი — 4 მაისი
**მილანი — პსვ ეინდჰოვენი**
27 აპრილი — 3 მაისი
**ჩელსი — ლივერპული**





AFP

ვისთვის სიხარული, ვისთვის იმედგაცრუება...

# გინდა, ფიგუ, ფული?



**მადრიდის** „რეალის“ პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ მალე ალბათ სხვა, მასსავით სახელოვანი და მობერებული ვარსკვლავების მაგალითს მიჰბაძავს და მომავალი სეზონიდან კარიერის გასაგრძელებლად ერთ-ერთი არაბული ქვეყნის ჩემპიონატს აირჩევს.

როგორც ესპანური „მარკა“ გვამცნობს, ლუიშ ფიგუს „რეალ“ — „ბარსას“ ამასწინანდელი დერბის მერე, საუდის არაბეთის „ალ ჰაზაას“ პრეზიდენტი შეხვედრია ზღაპრულ ტრანსფერზედაც ჩამოუგდია სიტყვა. საქმიანი შეხვედრა ერთ-ერთ მადრიდულ რესტორანში შედგა.

ასეა თუ ისე, ლუიშ ფიგუს უკვე აქვს რამდენიმე ვარიანტი — ან „რეალში“ დარჩეს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია, ან ინგლისურ პრემიერლიგაში გადავიდეს და ანაც აზიაში წავიდეს დიდი ფულის საშოვნელად.

მას ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, თუმცა დიდძალ თანხაზე უარის თქმა, ნებისმიერ გალაქტიკოსს გაუჭირდებაო — დასძენს ბოლოს „მარკას“ კორესპონდენტი, რისი დასტურიც სწორედ ეს ფოტოა, სადაც ჟურნალისტებმა ლუიშ ფიგუ არაბი შეიხის სამოსში გამოაწყვეს.

**ლადო ხომერიკი**

# რობერტო კარლოსის რეალური პასუხი

# რამ გააგაღიზიანა სამუელ?

*მადრიდულ „ასში“ დაბეჭდილმა სამუელ ეტოოს სიტყვებმა, რა გასაკვირია, რომ „რეალის“ ფეხბურთელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.*

*ინტერვიუში, რომელიც „სარბიელმა“ გუშინ შემოგთავაზათ, „ბარსელონას“ კამერუნელმა ლეგიონერმა თქვა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამასწინანდელი გამარჯვების მიუხედავად, საამსეზონო პრიმერას მოგებაზე „რეალი“ ნურც იოცნებებსო.*

*„რეალურმა“ პასუხმაც, ცხადია, არ დააყოვნა და...*

*რობერტო კარლოსის ნაუბარს გთავაზობთ, რომელიც „მარკადან“ ვთარგმნეთ*



**— სამუელ ეტოოს ნათქვამზე კომენტარი თუ შეიძლება...**

— რა უნდა გითხრათ. თუ პრიმერადივიზიონის დარჩენილ თამაშებშიც ისე ვიბურთავეთ, როგორც „ბარსასთან“, ჩემპიონობა სწორედ ჩვენ დაგვრჩება. აბა, ეტოო იმას ხომ არ იტყოდა, კი, „რეალი“ გახდება ჩემპიონიო.

**— კამერუნელთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და აქამდე ჩინებული დამოკიდებულებაც გვქონდა. არ ვიცი, ასე რამ გააღიზიანა სამუელი. ალბათ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგების მერე ასე გადაწყვიტა თავისიანების გამხნევება. სხვას ვერაფერს ვფიქრობ.

**— თქვა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩასაფრებულებმა ითამაშესო. მართლა ასეა?**

— არა, რას ამბობთ. თუ ეტოო დაღლილობას გულისხმობდა, პირიქით — „ბარსასთან“ ჩვენი ფიზიკური დონე დავამტკიცეთ. შესანიშნავად ვითამაშეთ და ბევრსაც დავრბოდით. ნათლად გამოჩნდა, რომ ჩინებულად მომზადებული გუნდი ვართ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ შეგვიძლია. დამიჯერეთ, ახლა, დარჩენილ თამაშებში, მინდორზე ყველაფერს დავდებთ და პრიმერადივიზიონს მაინც მოვიგებთ.

**— ელ კლასიკოს მერე ბევრი თვლიდა, რომ ანგარიში უსამართლო იყო...**

— კი, ნამდვილად უსამართლო იყო — 4:2 კი არა, რატომ 6:2 არ მოვიგეთ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. „ბარსელონას“ უდიდეს პატივს ვცემ, ამ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობენ, მაგრამ კვირას, კატალონიელებს ღირსეულად მოვუგეთ. საგოლე მომენტებს რომ შევეშვათ, პირველი წუთებიდანვე, როგორც ტერიტორიული, ისე სათამაშო უპირატესობა ხელიდან არ გაგვიშვია. პრიმერადივიზიონის ჯერჯერობით საუკეთესო კლუბი დავამარცხეთ, მაგრამ ოქროს მედლები ბოლოს მაინც ჩვენი იქნება.

**— მომდევნო ტურში „ბარსა“ „ხეტაფეს“ ხვდება. რა შანსია იმისა, რომ მადრიდულმა გუნდმა „დახმარების“ ხელი გამოგიწოდოთ და რაიკარდის ბიჭებს სამი ქულა არ დაანებოს?**

— მჯერა, მათ ძალიან გაუჭირდებათ. „ხეტაფე“ საკმაოდ ძლიერი კლუბია და კარგ ფეხბურთსაც თამაშობს. „ბარსელონასთვის“ ქულებისართმევასაც ნამდვილად შეძლებენ. კიკე ფლორესს დისციპლინირებული და თავისი საქმის მცოდნე შეგირდები ჰყავს.

**— „რეალი“ კი ბერნდ შუსტერის „ლევანტეს“ უნდა ებურთაოს...**

— ვიცით, რომ ჩვენაც ძნელი მატჩი გველოდება. ამიტომაც ისე უნდა ვითამაშოთ, როგორაც „ბარსელონასთან“ ვითამაშეთ. მოგებები და შესაბამისად, ქულები ჰაერივით გვჭირდება. მას შემდეგ, რაც „ხეტაფესთან“ წავაგეთ, ჩვენი თამაშის სტილი აშკარად გამოსწორდა.




**იტალიური** „რომას“ ფორვარდმა ვინჩენცო მონტელამ კლუბთან 2010 წლამდე გააახანგრძლივა კონტრაქტი. „ძალიან გახარებული ვარ და მეამაყება, ისევ ამ გუნდის წევრად რომ ვრჩები. 5 წლის შემდეგ 36 წლის ვიქნები და კარიერას სიამოვნებით დავასრულებ „რომას“ მაისურით“ — განაცხადა მონტელამ.

**ესპანური** „რეალის“ ფრანგმა ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, ეროვნულ ნაკრებში არ დავბრუნდებიო. „ვიხუმრე, შეიძლება დავბრუნდე-მეთქი და მართალი ეგონათ. გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ“ — თქვა 32 წლის პლეიმეიკერმა.

**ინგლისურმა** „ბირმინგემმა“ ჯერმენ პენანტის გამოსყიდვა გადაწყვიტა. 22 წლის ნახევარმცველის სატრანსფერო ფასი დაახლოებით 3 მილიონი გირვანქა იქნება. „აქ მენდობიან, რაც ძალიან მსიამოვნებს. „ბირმინგემის“ ხელმძღვანელობამ ბევრი იმუშავა, რომ ციხიდან დროზე ადრე გამოვსულიყავი. შეცდომების გამეორებას აღარ ვაპირებ“ — განაცხადა პენანტმა.

**იტალიური** „მილანის“ ნახევარმცველი ანდრეა პირლო დაახლოებით 10 დღე დაისვენებს. შესაძლოა, მან სერია A-ში, „პარმასთან“ და „სიენასთან“ მატჩები გამოტოვოს. სავარაუდოდ, „როსონერის“ საყრდენი ნახევარმცველი „პსვ ეინდჰოვენთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაშიც ვერ ითამაშებს.

**გერმანული** „შალკეს“ ხელმძღვანელობამ თავის სტადიონ, „აუფ-შალკეს“ სახელი ლუდის მწარმოებელ ცნობილ კონცერნ **VELTINS**-ს მიჰყიდა. შედეგად, უახლოესი 10 წლის განმავლობაში გელზენკირხენელთა მშობლიურ სტადიონს „ველტინს არენა“ ერქმევა. ამ კონტრაქტის თანახმად, „შალკე“ 50 მილიონ ევროს მიიღებს.

**ინგლისური** „მიდლსბრო“ ორი ავსტრიელი ფეხბურთელით დაინტერესდა — „გრაცერის“ მოთამაშეებმა, რენე აუფჰაუზერმა და ემანუელ პოგატეცმა „ბოროს“ თავკაცი სტივ მაკლარენი უეფას თასის მატჩებისას მოხიბლეს. ორივე მათგანის საერთო ფასი დაახლოებით 3,5 მილიონი გირვანქაა.

**იტალიური** „ფიორენტინას“ უფროსობა გუნდის მეკარეების — კრისტიანო ლუპატელისა და კრისტიან კეიასის თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. როგორც ამბობენ, „იები“ უკვე ახალ გოლკიპერს ეძებენ. ამჟამად სამი კანდიდატია — ფრანჩესკო ტოლდო, მორგან დე სანქტისი და სებასტიან ფრეი.

**ესპანური** „რეალის“ ნახევარმცველი თომას გრავესენი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა. ფიქრობენ, რომ ტრავმა მსუბუქია, მაგრამ ექიმები საბოლოო დიაგნოზს დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ თუ დასვამენ. დიდი შანსია, გრავესენმა მომავალ უქმეებზე, პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში, „ლევანტესთან“ ვერ ითამაშოს.

**ინგლისური** „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის „ბაიერნთან“ მატჩში მიღებული ტრავმა კვლავ აწუხებს. ექიმები ჯერჯერობით ზუსტ დიაგნოზს ვერ სვამენ. ყველაფერი საბოლოოდ რამდენიმე დღეში გაირკვევა. ლონდონელი მედიკოსების თქმით, შესაძლოა, ჯონ ტერის 20 აპრილს, „არსენალთან“ მატჩის გამოტოვება მოუხდეს.

**არგენტინელი** ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი „ინტერისგან“ წინადადებას ელის. „ჩელსიში“ დაბრუნებას, აქ დარჩენა მირჩევნია, მაგრამ კლუბი რას ფიქრობს, ჯერ არ ვიცი. რამდენიმე წელს სამშობლოში დაბრუნებას არ ვაპირებ, თუმცა კარიერას „ესტუდიანტესში“ დავასრულებ“ — აღნიშნა 30 წლის ვერონმა.

**იტალიური** „იუვენტუსის“ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს სავარაუდოდ კიდევ სამი კვირა მოუწევს უქმობა. ტურინელთა ექიმებს იმედი აქვთ, რომ მიმდინარე სეზონში ტრავმებით გატანჯული ტრეზეგე საბოლოოდ ახლა მაინც მომჯობინდება.

**პორტუგალიური** პრესა იუწყება, რომ „პორტუმ“ „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველ ლუჩო გონსალესისა და ასევე არგენტინული „რასინგის“ ფორვარდ ლისანდრო ლოპესის შეძენა შეძლო. იქაურ ჟურნალ-გაზეთებზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ მხარეები მალე ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. თუმცა „პორტუს“ უფროსობას ჯერჯერობით ამ თემაზე განცხადება არ გაუკეთებია.

**ინგლისური** „ჩელსის“ ერთბაშად სამი ფეხბურთელი — ფრენკ ლამპარდი, ჯონ ტერი და პეტრ ჩეხი, აგრეთვე „ლივერპულის“ სტივენ ჯერარდი, „კრისტალ პალასის“ ენდრიუ ჯონსონი და „არსენალის“ ტიერი ანრი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ, 2004-2005 წლების სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის მოსაპოვებლად ნომინანტებად დაასახელა. რჩეულის ვინაობა, სეზონის ბოლოს გახდება ცნობილი, მანამდე კი იმას შეგახსენებთ, რომ ტიტულის ბოლო მფლობელი ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი გახლავთ.

**იტალიური** „მილანი“, ბრიტანული საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილის“ ბოლო ცნობებით, ჩემპიონთა ლიგის მოგების უმთავრესი ფავორიტია. „უილიამ ჰილმა“ კახა კალაძის გუნდის შანსები 5/4-ზე შეაფასა. მეორე ადგილზეა ჟოზე მაურინიუს „ჩელსი“ — 11/8, მესამეა მეოთხედფინალში, „იუვენტუსის“ დამჯობნელი „ლივერპული“ 6/1 კოეფიციენტით, ხოლო ოთხეული, ცხადია, გუს ჰიდინკის საკმაოდ სიმპათიურმა „პსვ ეინდჰოვენმა“ შეავსო — ჰოლანდიელთა შანსები 15/2-ზეა.

# სარბიელი და კროკი


## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნოგით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 1 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 2 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 3 | ფულემი-სიტი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 4 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 5 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 20:15 | 6 | ბირმინგემი-ბლეკბერნი | 1.85 | 3.3 | 4.1 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 9 | შეფილდი-დერბი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 10 | ვესტ ჰემი-მილუოლი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 18:00 | 11 | სტოკი-პლიმუთი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 12 | ლესტერი-უიგანი | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 13 | პრესტონი-კოვენტრი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 14 | ქპრ-ლიდსი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 15 | რედინგი-ნოტინგემი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 18:00 | 16 | ბერნლი-ბრაიტონი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 18:00 | 17 | ქოვენტრი-ვულვერჰემპტონი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 18 | გილინგემი-კრიუ | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 19 | როტერჰემი-უოტფორდი | 2.65 | 3.3 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 20 | იპსვიჩი-სანდერლენდი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 24 | ჰარტლპული-რექსემი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 25 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 26 | ჰალი-სვინდონი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 27 | პეტერბორო-უოლსოლი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 28 | სტოკპორტი-დონკასტერი | 2.8 | 3.4 | 2.15 | 1.53 | 1.21 | 1.31 |
| 18:00 | 29 | ტორკი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 30 | ტრანმერი-ბლეკპული | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 31 | ბარნსლი-ოლდემი | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 32 | ბრედფორდი-ბრენტფორდი | 2.55 | 3.3 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 33 | ბრისტოლი-ლუტონი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:00 | 34 | ჩესტერფილდი-ბარნსლი | 2.55 | 3.3 | 2.4 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 35 | ლუტონი-დონსი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 36 | სვონსი-ოქსფორდი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 23:00 | 37 | სკანთორპი-ლეიტონი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 38 | უიკომი-ბერი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 39 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 40 | ნოტს ქაუნტი-ნორთჰემპტონი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 41 | ჩესტერი-როჩდეილი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 42 | კიდერმინსტერი-იოვილი | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 18:00 | 43 | მენსფილდი-დარლინგტონი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 44 | ბოსტონი-გრიმსბი | 2.05 | 3.4 | 3.0 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 18:00 | 45 | როჩდეილი-შრუსბერი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 46 | რაშდენი-ბოსტონი | 2.0 | 3.3 | 3.1 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 18:00 | 47 | საუთენდი-კემბრიჯი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 55 | ბერტონი-კრაული | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 18:00 | 56 | გრეივსი-სკარბორო | 2.35 | 3.3 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 57 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 58 | ფარნბორო-ტამვორთი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 59 | ჰალიფაქსი-ჰერეფორდი | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 60 | მორქემბი-ბარნეტი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 61 | ნორთვიჩი-ალდერშოტი | 2.55 | 3.3 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 62 | სტივენიჯი-ვოკინგი | 1.55 | 3.5 | 5.3 | 1.07 | 1.19 | 2.1 |
| 18:00 | 63 | იორკი-ექსეტერი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 64 | თორქი-ლეი რედი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 70 | სელტიკი-აბერდინი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 18:00 | 71 | სელტიკი-აბერდინი | 0:1 | 1.35 | 5.0 | 3.7 | | |
| 18:00 | 72 | დანდი იუნაიტედი-ჰართსი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 18:00 | 73 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 74 | ინვერნესი-დანდი | 1.85 | 3.4 | 3.4 | 1.19 | 1.19 | 1.7 |
| 18:00 | 75 | მაზერველი-კილმარნოკი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 76 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 10.0 | 5.0 | 1.2 | 3.33 | 1.07 | 1.0 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 77 | ეირდრი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 78 | კლაიდი-ფოლკერკი | 2.5 | 3.5 | 2.25 | 1.45 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 79 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 80 | ქუინი-რეითი | 1.5 | 3.9 | 4.7 | 1.08 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 81 | როსი-ჰამილტონი | 2.25 | 3.5 | 2.5 | 1.36 | 1.18 | 1.45 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 82 | არბროთი-ბერვიკი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 83 | ბრეჩინი-ფორფარი | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| 18:00 | 84 | მორტონი-ალოა | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 85 | სტერლინგი-დამბარტონი | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 86 | სტრანრაერი-ფორფარი | 1.5 | 3.9 | 4.8 | 1.08 | 1.14 | [illegible] |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 2.9 | 3.5 | 2.0 | 1.58 | 1.18 | [illegible] |
| 18:00 | 88 | ისტ სტერლინგი-ალბიონი | 2.35 | 3.5 | 2.4 | 1.4 | 1.18 | [illegible] |
| 18:00 | 89 | ელგინი-გრეტნა | 6.7 | 4.6 | 1.3 | 2.72 | 1.08 | 1.01 |
| 18:00 | 90 | ქუინს პარკი-ის ფაიფი | 2.05 | 3.5 | 2.8 | 1.29 | 1.18 | 1.55 |
| 18:00 | 91 | სტენჰაუსმუირი-მონტროუზი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 92 | დორტმუნდი-არმინია | 1.6 | 3.5 | 5.4 | 1.09 | 1.23 | 2.12 |
| 17:30 | 93 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4.1 | 3.4 | 1.8 | 1.85 | 1.25 | 1.17 |
| 17:30 | 94 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.11 |
| 17:30 | 96 | ჰანზა-შტუტგარტი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 17:30 | 98 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 17:30 | 99 | შალკე-ჰამბურგი | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| 17:30 | 101 | ვერდერი-ჰერტა | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | [illegible] |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.8 | 3.4 | 4.1 | 1.17 | 1.25 | 1.83 |
| 19:30 | 103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 105 | ერცგებირგე-კოტბუსი | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 106 | ესენი-ოფენბახი | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 21:00 | 107 | ფიურტი-დრეზდენი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.11 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 108 | მიუნხენი 1860-საარბრიუკენი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:00 | 109 | აალენი-კიოლნი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.25 |
| 17:00 | 110 | აუე-აინტრახტი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 17:00 | 111 | ტრიერი-ბურგჰაუზენი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 17:00 | 112 | უნტერჰახინგი-კარლსრუე | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.24 | 1.62 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 113 | ალემანია-დუისბურგი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 117 | სტ.პაული-ლიუბეკი | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:30 | 118 | უნიონი-დიუსელდორფი | 2.75 | 3.3 | 2.15 | 1.5 | 1.2 | 1.3 |
| 21:30 | 122 | ოსნაბრიუკი-ვერდერი(მ) | 1.45 | 3.7 | 5.7 | 1.04 | 1.15 | 2.24 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 119 | ვუპერტალი-ვოლფსბურგი(მ) | 1.55 | 3.6 | 4.7 | 1.08 | 1.16 | 2.02 |
| 16:00 | 121 | კილი-ბრაუნშვაიგი | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 16:00 | 123 | პადერბორნი-დორტმუნდი(მ) | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 124 | ჰამბურგი(მ)-ქემნიცი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 125 | როიტლინგენი-ჰოფენჰაიმი | 2.05 | 3.4 | 2.9 | 1.27 | 1.2 | 1.56 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 126 | კობლენცი-აალენი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 16:30 | 128 | ოფენბახი-შტუტგარტი(მ) | 1.45 | 3.7 | 5.8 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 16:30 | 129 | კასელი-ზიგენი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 16:30 | 130 | ულმი-აუგსბურგი | 2.05 | 3.3 | 2.95 | 1.26 | 1.2 | 1.55 |
| 16:30 | 131 | მიუნხენი(მ)-ელვერსბერგი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 20:30 | 132 | ნოიკირხენი-ბაიერნი(მ) | 4.0 | 3.4 | 1.7 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 133 | მაინცი(მ)-ნიურნბერგი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 134 | ადმირა-ტიროლი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:30 | 135 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 20:30 | 136 | პაშინგი-გრაცი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:30 | 137 | შტურმი-რაპიდი | 3.1 | 3.3 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 138 | ავსტრია-ბრეგენცი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 17:30 | 139 | ავსტრია-ბრეგენცი | 0:1 | 1.4 | 4.3 | 4.0 | | |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 140 | ალტახი-უნტერზიბენბრუნი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.63 |
| 21:00 | 141 | კაპფენბერგი-გრატკორნი | 1.45 | 3.8 | 5.8 | 1.04 | 1.15 | 2.29 |
| 21:00 | 142 | კერნტენი-ავსტრია(ლ) | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 21:00 | 143 | ლინცი-რიდი | 3.2 | 3.0 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |
| 21:00 | 144 | ვიორგლი-ლეობენი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 147 | ბაზელი-იანგ ბოისი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:30 | 149 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 16:30 | 150 | თუნი-აარაუ | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:15 | 152 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 153 | ვადუცი-ბელი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:30 | 155 | ვინტერთური-ბელინცონა | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 19:30 | 156 | იფერდონი-სიონი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:30 | 157 | შო დე ფონი-ბადენი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:30 | 158 | ლუცერნი-კონკორდია | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| 21:30 | 159 | მეირინი-ბაულმი | 1.35 | 3.8 | 8.5 | 1.0 | 1.16 | 2.62 |
| 21:30 | 160 | კიასო-კრიენსი | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 161 | უდინეზე-ჯენოა | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 162 | ლივორნო-ბოლონია | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 171 | მესინა-იუვენტუსი | 2.7 | 2.8 | 2.75 | 1.37 | 1.36 | 1.38 |
| 22:30 | 172 | რომა-რეჯინა | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:30 | 173 | სამპდორია-პალერმო | 2.15 | 2.8 | 3.7 | 1.21 | 1.35 | 1.59 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 163 | ბოლონია-ლაციო | 2.25 | 2.8 | 3.45 | 1.24 | 1.36 | 1.54 |
| 17:00 | 164 | ბრეშია-ატალანტა | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 17:00 | 165 | კიევო-პარმა | 2.3 | 2.8 | 3.2 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 166 | ინტერი-კალიარი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 17:00 | 167 | ინტერი-კალიარი | 0:1 | 1.65 | 4.0 | 2.8 | | |
| 17:00 | 168 | უდინეზე-ლეჩე | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 17:00 | 169 | უდინეზე-ლეჩე | 0:1 | 1.55 | 4.5 | 3.5 | | |
| 17:00 | 170 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.35 | 2.8 | 3.2 | 1.27 | 1.35 | 1.49 |
| 17:00 | 174 | სიენა-მილანი | 6.0 | 3.5 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 176 | კროტონე-პიაჩენცა | 2.15 | 2.7 | 3.6 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| 22:45 | 177 | ჯენოა-პესკარა | 1.4 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.48 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 178 | ვერონა-ტორინო | 2.1 | 2.7 | 3.6 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 22:30 | 179 | სალერნიტანა-მოდენა | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:30 | 180 | ტერნანა-კროტონე | 1.75 | 3.0 | 4.6 | 1.1 | 1.26 | 1.81 |
| 22:30 | 181 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.5 | 3.2 | 7.0 | 1.02 | 1.23 | 2.19 |
| 22:30 | 182 | კატანძარო-ვიჩენცა | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22:30 | 183 | ტრიესტინა-ვენეცია | 2.95 | 2.5 | 2.6 | 1.35 | 1.38 | 1.27 |
| 22:30 | 184 | ალბინოლეფე-პერუჯა | 2.3 | 2.8 | 3.1 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 22:30 | 185 | არეცო-ბარი | 2.3 | 2.7 | 3.1 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 22:30 | 186 | ასკოლი-ვიჩენცა | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.95 | 3.1 | 3.8 | 1.19 | 1.28 | 1.7 |
| 22:00 | 213 | სევილია-ოსასუნა | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23:45 | 214 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 205 | ალბასეტე-მალაგა | 2.3 | 3.1 | 2.95 | 1.32 | 1.29 | 1.51 |
| 23:00 | 207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 23:00 | 208 | ბარსელონა-ხეტაფე | 0:1 | 1.65 | 4.0 | 3.4 | | |
| 21:00 | 209 | ლევანტე-რეალი | 5.3 | 3.5 | 1.6 | 2.1 | 1.22 | 1.09 |
| 19:00 | 211 | მაიორკა-ვალენსია | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 19:00 | 212 | რასინგი-ბეტისი | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |
| 19:00 | 215 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 218 | ალმერია-პონფერადინა | 2.05 | 2.9 | 3.55 | 1.2 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 221 | კადისი-ხერესი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 20:30 | 224 | ლეიდა-ტერასა | 1.95 | 3.0 | 3.65 | 1.18 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 225 | მურსია-ელჩე | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |
| 19:30 | 558 | სპორტინგი-ტენერიფე | 2.1 | 2.9 | 3.4 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 217 | ალავესი-მალაგა B | 1.55 | 3.4 | 5.6 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 19:00 | 219 | კორდობა-სალამანკა | 1.6 | 3.3 | 5.4 | 1.07 | 1.23 | 2.04 |
| 20:00 | 220 | სელტა-კასტელიონი | 1.35 | 3.9 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.56 |
| 20:00 | 222 | ეიბარი-ელიდა | 2.15 | 2.8 | 3.4 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 20:00 | 223 | ტარაგონა-რეკრეატივო | 2.0 | 2.9 | 3.7 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 14:00 | 226 | ქსერესი-ვალიადოლიდი | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 227 | ლილი-ლანსი | 1.8 | 3.0 | 4.8 | 1.12 | 1.3 | 1.84 |
| 22:00 | 229 | ბასტია-ტულუზა | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 230 | ბორდო-ნანტი | 2.0 | 2.9 | 4.0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 22:00 | 231 | მარსელი-აიაჩიო | 1.5 | 3.5 | 7.0 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 22:00 | 232 | მარსელი-აიაჩიო | 0:1 | 2.2 | 3.1 | 2.35 | | |
| 22:00 | 233 | მეცი-ისტრი | 1.65 | 3.2 | 5.3 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 22:00 | 234 | ნიცა-კაენი | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 22:00 | 235 | რენი-სტ.ეტიენი | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 22:00 | 236 | სოშო-მონაკო | 2.5 | 2.8 | 2.95 | 1.32 | 1.35 | 1.43 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 237 | ოსერი-სტრასბურგი | 1.65 | 3.2 | 5.3 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 238 | ლიონი-პსჟ | 1.6 | 3.3 | 6.0 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 241 | ამიენი-ლავალი | 1.9 | 3.0 | 4.0 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 242 | ბრესტი-მონპელიე | 2.0 | 3.0 | 3.7 | 1.2 | 1.29 | 1.65 |
| 22:00 | 243 | კლერმონი-ნიორი | 2.05 | 2.9 | 3.6 | 1.2 | 1.3 | 1.6 |
| 22:00 | 244 | კრეტეი-გენგამი | 1.9 | 3.0 | 4.1 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 22:00 | 245 | გრენობლი-დიჟონი | 2.0 | 2.9 | 3.8 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 246 | გენიონი-ანჟე | 2.05 | 2.9 | 3.6 | 1.2 | 1.3 | 1.6 |
| 22:00 | 247 | რეიმსი-ნანსი | 2.9 | 2.7 | 2.5 | 1.39 | 1.34 | 1.29 |
| 22:00 | 248 | სედანი-შატორუ | 1.8 | 3.0 | 4.5 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 22:45 | 249 | ლე მანი-ლორიანი | 1.6 | 3.3 | 5.5 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 250 | ლე ჰავრი-ტრუა | 2.9 | 2.9 | 2.4 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 251 | ვესტერლო-ბრიუგე | 6.0 | 4.0 | 1.45 | 2.4 | 1.16 | 1.06 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 253 | ბრიუსელი-გენტი | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 22:00 | 254 | მუსკრონი-ბერშოტი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:00 | 255 | შარლერუა-ლირსი | 1.55 | 3.7 | 5.3 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 22:00 | 256 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 22:00 | 258 | გენკი-ბევერენი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 257 | ლუვიერი-ანდერლეხტი | 6.0 | 4.0 | 1.45 | 2.4 | 1.16 | 1.06 |
| 17:00 | 259 | სერკლი-ოსტენდე | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 17:00 | 260 | სტანდარდი-მონსი | 1.25 | 5.5 | 8.5 | 1.01 | 1.08 | 3.33 |
| 17:00 | 261 | სტანდარდი-მონსი | 0:1 | 1.6 | 4.0 | 3.5 | | |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 264 | დეინზე-მეხელენი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 265 | დაინცე-ვირტონი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 268 | აალსტი-ტუბიზი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 17:00 | 269 | რუსელარე-ვაალი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 270 | რონსე-ტურნჰაუტი | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.44 |
| 17:00 | 271 | სტ.ნიკლასი-კორტრეიკი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 17:00 | 272 | ვარეგემი-ანტვერპენი | 1.65 | 3.2 | 4.8 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 274 | როდა-უტრეხტი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 275 | გრაფშაპი-ვოლენდამი | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 21:30 | 276 | რ.ვალვაიკი-დენ ჰააგი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:00 | 277 | ვიტესე-ჰერენვენი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 14:30 | 278 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 16:30 | 279 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 16:30 | 280 | ზვოლე-პსვ | 6.0 | 3.4 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| 16:30 | 282 | დენ ბოსხი-გრონინგენი | 2.8 | 3.4 | 2.2 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| 16:30 | 283 | ალკმაარი-ბრედა | 1.35 | 4.3 | 7.5 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 294 | ვენლო-ტელსტარი | 2.2 | 3.5 | 2.7 | 1.35 | 1.21 | 1.52 |
| 22:00 | 295 | გო ეჰედი-ჰერაკლესი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:00 | 296 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2.4 | 3.5 | 2.45 | 1.42 | 1.21 | 1.44 |
| 22:00 | 297 | მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2.7 | 3.5 | 2.1 | 1.52 | 1.18 | 1.31 |
| 22:00 | 298 | სპარტა-ამერსფოორტი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 22:00 | 299 | ოსი-ეინდჰოვენი | 1.85 | 3.5 | 3.4 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 22:00 | 300 | ვოლენდამი-ემენი | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| 22:00 | 301 | ვეენდამი-სტორმვოგელსი | 1.4 | 4.5 | 5.5 | 1.06 | 1.11 | 2.47 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 302 | ზვოლე-ოსი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 307 | ბეირა მარი-ბოავიშტა | 3.2 | 3.3 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 308 | ბენფიკა-ლეირია | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 23:45 | 309 | ბენფიკა-ლეირია | 0:1 | 1.6 | 3.9 | 3.2 | | |
| 22:15 | 314 | პორტო-სეტუბალი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 22:15 | 315 | პორტო-სეტუბალი | 0:1 | 1.7 | 3.9 | 2.8 | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21:45 | 305 | გიმარაეში-ეშტორილი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 306 | აკადემიკა-პენაფიელი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 23:45 | 310 | ბრაგა-ბელენენსეში | 1.65 | 3.6 | 4.8 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 311 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 19:00 | 313 | ნასიონალი-რიო ავე | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 312 | მოირეირენსე-სპორტინგი | 4.1 | 3.5 | 1.75 | 1.88 | 1.22 | 1.16 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 324 | ვარზიმი-ამადორა | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 14:30 | 316 | პორტიმონენსე-ნავალი | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 317 | მაია-ფელგეირასი | 2.15 | 3.0 | 3.0 | 1.25 | 1.25 | 1.5 |
| 19:00 | 318 | ალვერკა-ოლიანენსე | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 319 | შავეში-ავეში | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 320 | ფეირენსე-გონდომარი | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 321 | ფამალიკაო-ოვარენსე | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 322 | ლეიშოეში-ფარენსე | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 323 | მარკო-სანტა კლარა | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 328 | ერგოტელისი-პანათინაიკოსი | 9.0 | 4.5 | 1.25 | 3.0 | 1.09 | 1.0 |
| 18:00 | 329 | ერგოტელისი-პანათინაიკოსი | 1:0 | 3.5 | 4.1 | 1.5 | | |
| 19:00 | 333 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 325 | აეკ-ქსანთი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:30 | 326 | ხალკიდონა-იონიკოსი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 17:30 | 327 | ეგალეო-არისი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 20:00 | 330 | კალამარია-ოლიმპიაკოსი | 8.0 | 4.3 | 1.3 | 2.79 | 1.11 | 1.0 |
| 20:00 | 331 | კალამარია-ოლიმპიაკოსი | 1:0 | 3.0 | 4.1 | 1.6 | | |
| 17:30 | 332 | კერკირა-კალითეა | 3.25 | 2.8 | 2.2 | 1.5 | 1.31 | 1.23 |
| 19:15 | 334 | პაოკი-ოფი | 1.4 | 3.7 | 7.0 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 335 | დიარბაქირი-ტრაბზონი | 5.5 | 3.7 | 1.55 | 2.21 | 1.2 | 1.09 |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 337 | კონია-საკარია | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 17:00 | 338 | სამსუნი-დენიზლი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 17:30 | 339 | კაისერი-მალატია | 1.9 | 3.3 | 3.55 | 1.2 | 1.23 | 1.71 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 340 | სივასი-გალათასარაი | 11.0 | 5.5 | 1.2 | 3.66 | 1.08 | 1.0 |
| 15:30 | 341 | სივასი-გალათასარაი | 1:0 | 3.7 | 4.7 | 1.55 | | |
| 15:30 | 342 | რიზე-გაზიანთეპი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 15:30 | 343 | ისტანბული-გენჩლერბირლიგი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 15:30 | 344 | ანკარაგუჯუ-ანკარა | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 345 | ფენერბახჩე-ბეშიქთაში | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 346 | რუბინი-ამკარი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 15:00 | 347 | სატურნი-ალანია | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 15:00 | 348 | შინნიკი-ტერეკი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 15:00 | 349 | ტორპედო-ტომი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 15:00 | 350 | მოსკოვი-როსტოვი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 15:00 | 351 | კრილია-ლოკომოტივი | 3.0 | 2.9 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 352 | სპარტაკი-დინამო | 2.25 | 2.9 | 3.2 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 16:00 | 353 | ზენიტი-ცსკა | 2.65 | 2.8 | 2.7 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 354 | გურნიკი-კორონა | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 355 | გროძისკი-ამიკა | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:00 | 356 | ლეხი-ზაგლემბიე | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:00 | 357 | ლეგია-კატოვიცე | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 20:00 | 359 | პოლონია-პლოცკი | 2.3 | 3.0 | 2.8 | 1.3 | 1.26 | 1.44 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 358 | ლეხია-ოდრა | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| 19:00 | 360 | ვისლა-პოგონი | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 19:00 | 361 | ვისლა-პოგონი | 0:1 | 1.45 | 4.6 | 3.7 | | |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 16:25 | 364 | სლოვაკო-სპარტა | 3.25 | 3.1 | 2.05 | 1.58 | 1.25 | 1.1[illegible] |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 365 | [illegible] | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 22:00 | 366 | [illegible] | 1.95 | 3.0 | 3.6 | 1.18 | 1.26 | 1.63 |
| 19:00 | 367 | [illegible] | 2.3 | 2.9 | 3.0 | 1.28 | 1.3 | 1.47 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 368 | [illegible] | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 19:00 | 369 | [illegible] | 2.3 | 2.9 | 2.9 | 1.28 | 1.28 | 1.45 |
| 19:00 | 370 | [illegible] | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 18:40 | 371 | [illegible] | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 377 | [illegible] | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:30 | 378 | ბ.ბისტრიცა-კოშიცე | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 19:30 | 379 | ჟილინა-ტრენჩინი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 12:30 | 380 | პეტრჟალკა-რუჟომბეროკი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 19:30 | 381 | ტრნავა-ინტერი | 1.7 | 3.3 | 4.1 | 1.12 | 1.2 | 1.82 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 383 | [illegible] | 5.5 | 3.6 | 1.5 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| 18:00 | 384 | ოსიეკი-ვარტექსი | 1.9 | 3.1 | 3.55 | 1.17 | 1.23 | 1.65 |
| 20:00 | 386 | [illegible] | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 18:00 | 387 | პულა-ჰაიდუკი | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 405 | ვიბორგი-ბრონდბიუ | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 406 | ოდენსე-ესბიერგი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 407 | ნორდსიელანდი-ოლბორგი | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 17:00 | 408 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 3.3 | 3.2 | 2.0 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 17:00 | 409 | სილკებორგი-რანდერსი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:30 | 410 | [illegible] | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 412 | [illegible] | 2.3 | 3.7 | 2.4 | 1.41 | 1.17 | 1.45 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 15:00 | 413 | B 93-[illegible] | 3.2 | 3.8 | 1.85 | 1.73 | 1.17 | 1.24 |
| 15:00 | 414 | [illegible] | 1.9 | 3.7 | 3.0 | 1.25 | 1.16 | 1.65 |
| 15:00 | 415 | [illegible] | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 15:00 | 416 | [illegible] | 2.05 | 3.7 | 2.8 | 1.31 | 1.18 | 1.59 |
| 17:00 | 417 | [illegible] | 1.3 | 4.8 | 7.0 | 1.02 | 1.09 | 2.84 |
| 17:00 | 418 | [illegible] | 1.3 | 4.8 | 7.0 | 1.02 | 1.09 | 2.84 |
| 21:00 | 419 | [illegible] | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 21:05 | 421 | ოლესუნდი-ოდ გრენლანდი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 422 | ბოდოი გლიმტი-როზენბორგი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 20:00 | 423 | ლილესტრიომი-ლინი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 424 | მოლდე-სტარტი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 425 | ტრომსე-ჰამარი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:05 | 426 | ვალერენგა-ბრანი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 427 | ფრედრიკსტადი-ვიკინგი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 428 | ბრინი-ალტა | 1.4 | 4.7 | 5.3 | 1.07 | 1.1 | 2.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 429 | [illegible] | 2.7 | 3.7 | 2.1 | 1.56 | 1.15 | [illegible] |
| 20:00 | 430 | [illegible] | 1.55 | 4.2 | 4.3 | 1.15 | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 431 | [illegible] | 2.85 | 4.0 | 1.95 | 1.66 | 1.15 | [illegible] |
| 20:00 | 432 | [illegible] | 1.5 | 4.2 | 4.6 | 1.1 | [illegible] | [illegible] |
| 20:00 | 433 | [illegible] | 2.2 | 3.8 | 2.55 | 1.39 | 1.18 | 1.52 |
| 20:00 | 434 | [illegible] | 1.55 | 4.0 | 4.4 | 1.11 | 1.14 | [illegible] |
| 20:00 | 435 | [illegible] | 3.3 | 4.0 | 1.8 | 1.8 | [illegible] | [illegible] |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 440 | ლანდსკრონა-მალმე | 4.0 | 3.4 | 1.8 | 1.83 | [illegible] | [illegible] |
| 17:00 | 441 | გეტებორგი-ასირისკა | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | [illegible] | [illegible] |
| 17:00 | 442 | ელფსბორგი-ორგრიუტე | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | [illegible] | [illegible] |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 443 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | [illegible] | [illegible] |
| 21:00 | 444 | ჰალმსტადი-დიურგარდენი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | [illegible] |
| 21:00 | 445 | ჰამარბი-კალმარი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | [illegible] | [illegible] |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 455 | ბოჰემიანსი-კორკი | 2.5 | 3.0 | 2.6 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22:45 | 456 | დროგედა-შელბორნი | 1.85 | 3.1 | 3.8 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22:45 | 457 | [illegible] | 2.55 | 3.0 | 2.45 | 1.37 | [illegible] | 1.34 |
| 23:00 | 458 | შემროკ როვერსი-სტ.პატრიკსი | 1.5 | 3.4 | 5.8 | 1.04 | [illegible] | [illegible] |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 459 | [illegible] | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | [illegible] |
| 22:45 | 460 | [illegible] | 2.9 | 3.0 | 2.25 | 1.47 | 1.26 | [illegible] |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 10:00 | 470 | [illegible] | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.2 | [illegible] |
| 10:00 | 471 | [illegible] | 2.45 | 3.0 | 2.6 | 1.34 | [illegible] | [illegible] |
| 10:00 | 472 | [illegible] | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | [illegible] |
| 10:00 | 473 | [illegible] | 1.9 | 3.1 | 3.6 | 1.17 | 1.23 | [illegible] |
| 10:00 | 474 | [illegible] | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | [illegible] |
| 10:30 | 475 | [illegible] | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | [illegible] | [illegible] |
| 14:00 | 476 | [illegible] | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | [illegible] | [illegible] |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 10:00 | 477 | [illegible] | 2.35 | 3.1 | 2.65 | 1.33 | 1.24 | [illegible] |
| 10:00 | 478 | [illegible] | 2.45 | 3.0 | 2.6 | 1.34 | 1.26 | [illegible] |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 479 | [illegible] | 1.95 | 3.2 | 3.45 | 1.21 | [illegible] | [illegible] |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 480 | სოლტ ლეიკი-კოლორადო | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | [illegible] |
| 23:45 | 481 | [illegible] | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.23 | [illegible] |
| 23:45 | 482 | [illegible] | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | [illegible] |
| 23:45 | 483 | ჩივასი-დალასი | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | [illegible] |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 15:15 | 530 | არსენალი-ბლეკბერნი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | [illegible] |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 531 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 5.0 | 3.4 | 1.65 | 2.02 | 1.24 | [illegible] |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 557 | ჰაკა-ლაჰტი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | [illegible] |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 609 | აიზბერენი-მანჰაიმი | 1.8 | 4.4 | 2.85 | 1.27 | 1.1 | [illegible] |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10003 | ფულემი-სიტი | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.15 | 2.0 | 4.0 | 1.03 | 1.39 | 1.33 |
| 10005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10092 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.37 | 1.55 |
| 10093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4.5 | 2.1 | 2.15 | 1.43 | 1.45 | 1.06 |
| 10094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 5.0 | 2.1 | 2.0 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10096 | ჰანზა-შტუტგარტი | 4.3 | 2.0 | 2.2 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.05 | 2.0 | 5.0 | 1.01 | 1.45 | 1.42 |
| 10099 | შალკე-ჰამბურგი | 2.1 | 2.0 | 5.0 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10101 | ვერდერი-ჰერტა | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10163 | ბოლონია-ლაციო | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10164 | ბრეშა-ატალანტა | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10165 | კიევო-პარმა | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10166 | ინტერი-კალიარი | 1.55 | 2.5 | 6.3 | 1.0 | [illegible] | [illegible] |
| 10168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.45 | 2.7 | 7.3 | 1.0 | 1.2 | [illegible] |
| 10170 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | [illegible] |
| 10171 | მესინა-უდინეზე | 2.9 | 2.0 | 3.0 | 1.18 | 1.47 | [illegible] |
| 10172 | რომა-რეჯინა | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | [illegible] | [illegible] |
| 10173 | სამპდორია-პალერმო | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10174 | სიენა-მილანი | 5.5 | 2.3 | 1.8 | 1.62 | 1.35 | 1.0 |
| 10205 | ალბასეტე-მალაგა | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.35 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.18 |
| 10209 | ლევანტე-რეალი | 5.6 | 2.1 | 1.85 | 1.52 | 1.39 | 1.0 |
| 10211 | მალიორკა-ვალენსია | 4.4 | 2.0 | 2.3 | 1.37 | 1.51 | 1.06 |
| 10212 | რასინგი-ბილბაო | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10213 | სევილია-ოსასუნა | 1.8 | 2.3 | 5.8 | 1.0 | 1.37 | 1.64 |
| 10214 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.23 |
| 10215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11003 | ფულემი-სიტი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11092 | დორტმუნდი-არმინია | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11096 | ჰანზა-შტუტგარტი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.6 |
| 11098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11099 | შალკე-ჰამბურგი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11101 | ვერდერი-ჰერტა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11163 | ბოლონია-ლაციო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11164 | ბრეშა-ატალანტა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11165 | კიევო-პარმა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11166 | ინტერი-კალიარი | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.5 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11170 | ლივორნო-ფიორენტინა | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11171 | მესინა-უდინეზე | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11172 | რომა-რეჯინა | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11173 | სამპდორია-პალერმო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11174 | სიენა-მილანი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11205 | ალბასეტე-მალაგა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | [illegible] | [illegible] |
| 11209 | ლევანტე-რეალი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11211 | მალიორკა-ვალენსია | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11212 | რასინგი-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11213 | სევილია-ოსასუნა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11214 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | [illegible] |
| 11215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ფულემი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13092 | დორტმუნდი-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 13093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 13094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 13096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 13098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.0 | 1.6 |
| 13099 | შალკე-ჰამბურგი | 1.9 | 1.7 |
| 13101 | ვერდერი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 13102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 13103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 13163 | ბოლონია-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13164 | ბრეშა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13165 | კიევო-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13166 | ინტერი-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.7 | 1.9 |
| 13170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13171 | მესინა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13172 | რომა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13173 | სამპდორია-პალერმო | 1.9 | 1.7 |
| 13174 | სიენა-მილანი | 1.9 | 1.7 |
| 13205 | ალბასეტე-მალაგა | 1.9 | 1.7 |
| 13206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.9 | 1.7 |
| 13207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13209 | ლევანტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 13211 | მალიორკა-ვალენსია | 2.0 | 1.6 |
| 13212 | რასინგი-ბილბაო | 1.9 | 1.7 |
| 13213 | სევილია-ოსასუნა | 1.9 | 1.7 |
| 13214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.9 | 1.7 |
| 13215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.0 | 1.6 |
| 13216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.9 | 1.7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ფულემი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.6 | 2.0 |
| 12005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.6 | 2.0 |
| 12092 | დორტმუნდი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.55 |
| 12094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 12098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12099 | შალკე-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12101 | ვერდერი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 12103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.9 | 1.7 |
| 12163 | ბოლონია-ლაციო | 1.6 | 2.0 |
| 12164 | ბრეშა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12165 | კიევო-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 12166 | ინტერი-კალიარი | 2.0 | 1.6 |
| 12168 | იუვენტუსი-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.6 | 2.0 |
| 12171 | მესინა-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 12172 | რომა-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 12173 | სამპდორია-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12174 | სიენა-მილანი | 1.6 | 2.0 |
| 12205 | ალბასეტე-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 12206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12207 | ბარსელონა-ხეტაფე | 2.0 | 1.6 |
| 12209 | ლევანტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12211 | მალიორკა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12212 | რასინგი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12213 | სევილია-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14003 | ფულემი-სიტი | 1.8 | 2.0 |
| 14004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.65 | 2.15 |
| 14005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.65 | 2.3 |
| 14092 | დორტმუნდი-არმინია | 1.3 | 2.5 |
| 14093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.3 | 1.6 |
| 14094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.2 | 1.7 |
| 14098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.45 | 2.3 |
| 14099 | შალკე-ჰამბურგი | 1.45 | 2.3 |
| 14101 | ვერდერი-ჰერტა | 1.7 | 2.2 |
| 14102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.2 |
| 14103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.7 | 2.2 |
| 14163 | ბოლონია-ლაციო | 1.8 | 2.0 |
| 14164 | ბრეშა-ატალანტა | 1.75 | 2.1 |
| 14165 | კიევო-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14166 | ინტერი-კალიარი | 1.2 | 2.5 |
| 14168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.08 | 2.7 |
| 14170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 14171 | მესინა-უდინეზე | 1.9 | 1.9 |
| 14172 | რომა-რეჯინა | 1.3 | 2.45 |
| 14173 | სამპდორია-პალერმო | 1.75 | 2.1 |
| 14174 | სიენა-მილანი | 2.5 | 1.3 |
| 14205 | ალბასეტე-მალაგა | 1.8 | 2.0 |
| 14206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.7 | 2.2 |
| 14207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.08 | 2.8 |
| 14209 | ლევანტე-რეალი | 2.4 | 1.45 |
| 14211 | მალიორკა-ვალენსია | 2.2 | 1.7 |
| 14212 | რასინგი-ბილბაო | 1.8 | 2.0 |
| 14213 | სევილია-ოსასუნა | 1.3 | 2.4 |
| 14214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.7 | 2.2 |
| 14216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.3 | 2.4 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 16002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 16003 | ფულემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 16004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 16005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 16006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 16092 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 16093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 16094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 16096 | ჰანზა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 16098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 16099 | შალკე-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 16101 | ვერდერი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 16102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 16103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 16163 | ბოლონია-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 16164 | ბრეშა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 16165 | კიევო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 16166 | ინტერი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 16168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 16170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 16171 | მესინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 16172 | რომა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 16173 | სამპდორია-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 16174 | სიენა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 16205 | ალბასეტე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 16206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 16207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 16209 | ლევანტე-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 16211 | მალიორკა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 16212 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 16213 | სევილია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 16214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 16215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 16216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.6 | 1.9 |
| 17002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.4 | 2.3 |
| 17003 | ფულემი-სიტი | 1.5 | 2.2 |
| 17004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.3 | 2.8 |
| 17005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.5 | 2.2 |
| 17006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.35 | 2.5 |
| 17092 | დორტმუნდი-არმინია | 1.2 | 3.4 |
| 17093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.6 | 1.35 |
| 17094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.9 | 1.25 |
| 17096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.5 | 1.4 |
| 17098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.25 | 2.9 |
| 17099 | შალკე-ჰამბურგი | 1.3 | 2.8 |
| 17101 | ვერდერი-ჰერტა | 1.4 | 2.4 |
| 17102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.35 | 2.55 |
| 17103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.4 | 2.4 |
| 17163 | ბოლონია-ლაციო | 1.45 | 2.3 |
| 17164 | ბრეშა-ატალანტა | 1.5 | 2.2 |
| 17165 | კიევო-პარმა | 1.55 | 2.0 |
| 17166 | ინტერი-კალიარი | 1.1 | 4.7 |
| 17168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.05 | 6.0 |
| 17170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.55 | 2.0 |
| 17171 | მესინა-უდინეზე | 1.7 | 1.8 |
| 17172 | რომა-რეჯინა | 1.15 | 3.8 |
| 17173 | სამპდორია-პალერმო | 1.45 | 2.3 |
| 17174 | სიენა-მილანი | 3.4 | 1.2 |
| 17205 | ალბასეტე-მალაგა | 1.6 | 1.95 |
| 17206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.35 | 2.6 |
| 17207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.03 | 6.5 |
| 17209 | ლევანტე-რეალი | 3.0 | 1.25 |
| 17211 | მალიორკა-ვალენსია | 2.3 | 1.45 |
| 17212 | რასინგი-ბილბაო | 1.55 | 2.0 |
| 17213 | სევილია-ოსასუნა | 1.15 | 4.1 |
| 17214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.6 | 1.9 |
| 17215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.45 | 2.3 |
| 17216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.15 | 4.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ფულემი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 | დორტმუნდი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | ჰანზა-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | შალკე-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ვერდერი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | ბოლონია-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15164 | ბრეშა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | კიევო-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15166 | ინტერი-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15168 | იუვენტუსი-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15170 | ლივორნო-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | მესინა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15172 | რომა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15173 | სამპდორია-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15174 | სიენა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15205 | ალბასეტე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | ბარსელონა-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | ლევანტე-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | მალიორკა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | რასინგი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | სევილია-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | ვილიარეალი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15216 | სარაგოსა-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# საყვარელიძე მწვრთნელს ვერ ელევა

## ქართული კალათბურთისა და რასინგის პრეზიდენტები ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ

**სეზონი იწურება და ყველა იმის ცდაშია, ხელმძღვანელობას თავი მოაწონოს, რათა სამომავლოდ გუნდში ადგილი დაიბევოს. ასე არიან ქართველი ლეგიონერებიც. ზოგი ახერხებს თავის გამოჩენას, ზოგიც — ვერა. დავით საყვარელიძე საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „შალონის“ დუბლებში თამაშობს და თუ ასევე ჩაამთავრა სეზონი, როგორც ახლა თამაშობს, ძირითად შემადგენლობაშიც დაიმსახურებს ადგილს. მან განვლილ ტურში პოორტეზელ თანატოლებს 22 ქულა ჩაუგდო 5 ჩაჭრასთან, 5 პასთან და 7 მოხსნასთან ერთად. საყვარელიძეს საფრაგეთში რომ დავუკავშირდით, სანაკრებო ამბავ-ხაბარიც გვამცნო...**



დავით საყვარელიძეს „შალონის“ ძირითად გუნდში თამაშის კარგი პერსპექტივა გამოუჩნდა

**— ბოლო ტურში გიყოჩაღია. რას იტყვი „პო ორტეზთან“ მატჩზე?**

— ამას წინათ ტრავმა მქონდა და სამი ტური გამოვტოვე. „პო ორტეზთან“ მატჩში კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ფორმა აღვიდგინე. წინა შეხვედრებში შედარებით მიჭირდა, თუმცა არა ისე, ხელმძღვანელობას ესაყვედურა.

**— ახლა რა გითხრა მწვრთნელმა?**

— შემაქო, რა თქმა უნდა. ისეთ შედეგიანობას, როგორიც „პო ორტეზთან“ მქონდა, იშვიათად თუ იჩენს ვინმე. 22 ქულა ბევრიც არაფერია, მაგრამ 5 ჩაჭრას, 5 პასს და 7 მოხსნას თუ გავითვალისწინებთ, სტატისტიკა საკმაოდ შთამბეჭდავი ჩანს.

**— ამას წინათ თქვი, დიდ გუნდში გადასვლის კარგი შანსი მაქვსო და ახლა როგორაა საქმე?**

— მაშინ ვარაუდის დონეზე ვიცოდი, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში „შალონის“ ძირითად გუნდში ვითამაშებ, თუ... ერთი პირობაა: მწვრთნელი არ უნდა წავიდეს.

**— მაგას რატომ ამბობ, წასვლას აპირებს?**

— ცოტა ხნის წინათ „შალონის“ მთავარმა მწვრთნელმა და მე კარგა ხანს ვილაპარაკეთ. მან გულიც გადამიშალა. მითხრა, „პო ორტეზში“ მეპატიჟებიან და არ ვიცი, როგორ იქნება საქმეო. მას „შალონთან“ მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ თუ პოელებმა საკომპენსაციო თანხა გადაიხადეს, ჩვენს მწვრთნელს წაიყვანენ. თუ არ წავედი, „შალონის“ ძირითადში აუცილებლად გათამაშებო, დამპირდა მწვრთნელი.

**— რომ წავიდეს, რას ფიქრობ, აგიყვანენ ძირითად გუნდში?**

— არ ვიცი. ახალ მწვრთნელს ეგება მოვეწონო, ანაც დამიწუნოს, ეს უკვე ალბათობაა. ისე, დუბლიორთა თავკაცი ძალიან კარგი თვალით მიყურებს და რეკლამა არ მომაკლდება. თუმც მაგაზე ჯერ არ ვფიქრობ.

**— საფრანგეთში მოთამაშე ქართველებს თუ ნახულობ?**

— როგორ არა. ამის წინა ტურში პარიზის „რასინგს“ ვესტუმრეთ და იქ მოთამაშე გიორგი მაისაშვილი და რევაზ დიდია ვნახე.

სხვათა შორის, იმ პერიოდში პარიზის გუნდს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი ესტუმრობდა. მას თან ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ძიძავაც ახლდა.

**— ქართული კალათბურთის გამგებლები უბრალოდ საქმეზე არ იქნებოდნენ პარიზში ჩამო[illegible].**

— არა, რა თქმა უნ[illegible] ბესო, მოგეხსენებათ, [illegible] ნაკრებისთვის მწვრთნელს [illegible] და ამ საქმეში მას „რასინგის“ პრეზიდენტი, ევროპაში ცნობილი აგენტი რიდ სალივანი ეხმარება.

**— მერე რაო, ვისი კანდიდატურები შეარჩიეს?**

— ბატონმა ბესომ კონკრეტული გვარები არ და[illegible]ასახელა, ისე კი თქვა, რამდენიმე კანდიდატი გვყავს და მოლაპარაკებას ვაწარმოებთ.

**— და თავად შენ არ იცი, ვისზეა ლაპარაკი?**

— ვიცი, მაგრამ მისი სახელი თქვენც იცით. ერთ-ერთ[illegible] კანდიდატად კარგა ხანია, „რასინგის“ მწვრთნელი ჰერბერტ გორდონი განიხილება, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელთა რიცხვს მიეკუთვნება. ახლაც მიდის მასთან მოლაპარაკება თუ ჩვენმა ფედერაციამ არჩევანი ხსვებზე შეაჩერა, არ ვიცი.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 13 აპრილი —

**მილუოკი 108:111 ბოსტონი**
**მილუოკი:** უილიამსი (41), რედი (28), მეისონი (16), სმიტი (10), გაძურიჩი (22 ქულა, 12 მოხსნა); **ფაჩულია** (14 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა), გოლდვაირი (9), სტრიკლენდი (8), ფიზერი (1)
**ბოსტონი:** პეიტონი (12 ქულა, 10 პასი), ალენი (7), პირსი (32), უოლკერი (17), ლაფრენცი (11); დევისი (17), ბლუნტი (7), ბანქსი (4), პერკინსი (2), ჯეფერსონი (2), ვესტი, რიდი

**მინესოტა 116:100 გოლდენ სტეიტი**
**მინესოტა:** სპრიუელი (27), გარნეტი (21 ქულა, 15 მოხსნა, 11 პასი)
**გოლდენ სტეიტი:** პიეტრუსი (19), მერფი (17), დანლივი (16)... *ცქიტიშვილი* (2 წუთი, 0 ქულა)

**ჰიუსტონი 100:92 მემფისი**
**ჰიუსტონი:** მინგი (28), მაკგრეიდი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)
**მემფისი:** მილერი (37), გასოლი (20)

**ინდიანა 90:86 ნიუ ჯერსი**
**ინდიანა:** მილერი (22), ჯექსონი (17)
**ნიუ ჯერსი:** კიდი (29 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), კარტერი (22)

**ვაშინგტონი 93:82 ჩიკაგო**
**ვაშინგტონი:** ჰიუზი (23), არენასი (21), ჯემისონი (19 ქულა, 14 მოხსნა)
**ჩიკაგო:** გორდონი (21), ჰაინრიხი (21), დუჰონი (16)

**დეტროიტი 103:94 ორლანდო**
**დეტროიტი:** ჰამილტონი (14), პრინსი (14), აროიო (14)
**ორლანდო:** ნელსონი (30), ჰოვარდი (17)

**სიეტლი 90:95 დალასი**
**სიეტლი:** ალენი (19), დანიელსი (17)
**დალასი:** ნოვიცკი (31), ტერი (15)

**იუტა 93:91 სან ანტონიო**
**იუტა:** ოქური (25 ქულა, 16 მოხსნა), ჰარპრინგი (17), გირიჩეკი (15)
**სან ანტონიო:** ჯინობილი (21), პარკერი (17), დანკანი (17)

**დენვერი 116:102 ნიუ ორლეანი**
**დენვერი:** ენტონი (19), ბოიკინსი (18 ქულა, 11 პასი), პერსონი (17)
**ნიუ ორლეანი:** სმიტი (25), ნახბარი (19), ვრომენი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 105:84 ატლანტა**
**შარლოტი:** ოკაფორი (17 ქულა, 11 მოხსნა), ელი (16)
**ატლანტა:** სმიტი (20 ქულა, 14 მოხსნა)

## მილერ-ქილერი

## ბებერმა მკვლელმა ინდიანა გააცოცხლა

**ამ** კაცს იმდენი საგმირო საქმე ჩაუდენია, ზოგჯერ იფიქრებ, რილათი უნდა გაგვაოცოსო, მაგრამ მან ეს გამირობები ყოველდღიურ საქმიანობად აქცია. 38 წლის რეჯი მილერი თავისი გამხდარი მხრებით ზიდავს „ინდიანა პეისერზს“ და ჩაძირვის საშუალებას არ აძლევს. არადა, ამ გუნდს ყველა ამას უწინასწარმეტყველებდა, როცა მისმა ჯეელმა ლიდერებმა ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში დეტროიტში ხელჩართული ჩხუბი აუტეხეს იქაურ ფანებს და ლიგის დისციპლინარებს დიდრონი დისკვალიფიკაციები დასტყუეს. ერთხელაც გავიხსენოთ — წინა სეზონის საუკეთესო დამცველი, ჩხუბისთავი რონ არტესტი მთელი სეზონით მოიკვეთა, სტივ ჯექსონი 30 თამაშით, ნბა-ს ერთ-ერთი უჩაუქესი მეფარე, „ინდიანას“ ლიდერი ჯერმენ ონილი კი — 25-ით. ამ უკანასკნელს შემდეგ 10 თამაში კი „აპატიეს“, მაგრამ ონილმა მერე ისეთი ტრავმა მიიღო, პლეი ოფამდე ვერაფრით მოახერხებდა თამაშს. კი მაგრამ, ამ ხალხის არყოფნაში პლეი ოფში როგორღა, უნდა გავიდეთო, როცა თავში ხელი შემოირტყეს ინდიანელებმა, მაშინ გამოვიდა სცენაზე ამ კლუბის სიმბოლოდ ქცეული რეჯი.

მილერი თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს ნბა-ში და „პეისერზი“ ზედიზედ შვიდი პლეი ოფის შემდეგ მერვედაც რომ იქ პირადად ბებერი სნაიპერის დამსახურებაა. ოთხშაბათს „ნიუ ჯერსისთან“ ურპრინციპულეს ჯახში საფინალო სირენამდე 2,22 წუთით ადრე „ინდიანა“ 77:83 აგებდა და აქ სტყორცნა რეჯიმ თავისი მკვლელი სამიანი, ჩაავდო და ზედ კლიფორდ რობინსონს ჯარიმაც აჰკიდა. თავისთავად ის საჯარიმოც არ გაუცუდებია — მილერი ხომ ლამის ოთხ ათეულ წელს მიტანებულიც ნბა-ს ყველა სხვა სნაიპერზე უცდომელად იყენებს საჯარიმოებს.

მასპინძელთა მორიგ შეტევაში მილერმა კიდევ ერთი სამქულიანი გამოაცხო და 84:84 გაათანაბრა. მერე სხვებმაც გამოიღეს ხელი და „ინდიანამაც“ სეზონის 43-ე გამარჯვება ჩაიწერა, რითაც ოთხი შეხვედრით ადრე დაიბევა პლეი ოფში თამაში.

„რეჯი დიდებული იყო ამ საღამოს, ის დიდებულია ყოველ საღამოს, ეს ისევ ძველი რეჯია და მისი ბომბებიც ძველებურად მოფრინავს ჩვენი კალათისკენ“ — მარცხის მიუხედავად, მეტოქით აღფრთოვანებას ვერ მალავს „ნიუ ჯერსის“ ლიდერი ჯეისონ კიდი.

რაც შეეხება „ნიუ ჯერსის“, მას ამ მარცხმა მნიშვნელოვნად შეუმცირა პლეი ოფში ზედიზედ მეოთხედ მოხვედრის შანსი. ნიუჯერსელთა თავკაცი ლოურენს ფრენკი მაინც არ იტეხს იხტიბარს — ჩვენთვის პლეი ოფი უკვე დაიწყო, დარჩენილი ხუთი თამაშიდან ჯერ მხოლოდ პირველი წავაგეთ და ჯერ კაპიტულაციაზე ხელი არ მოგვიწერია.

„ინდიანას“ დარად, პლეი ოფი დაიბევა „ვაშინგტონ ვიზარდსმაც“, რომელსაც იქ თამაშის ბედნიერება 1997 წლიდან არ ჰქონია. დედაქალაქური გუნდის 73 წლის მფლობელმაები პოლინმა „ჩიკაგოსთან“ შეხვედრის წინ გასახდელში თავის გუნდს ისეთი სიტყვა უთხრა, თვალზე ცრემლი მოგადგებოდათ:

„ერთი გუნდი, ერთი მიზანი, „ვაშინგტონ ვიზარდსი“ პლეი ოფში მოხვდება“! — ასე დაასრულა თავისი მონოლოგი და მერე, უკვე ნამატჩევს, თავად ქვითინებდა ბავშვივით.

არანაკლებ მღელვარებდა „ვიზარდსის“ მწვრთნელი ედი ჯორდანი:

„ეს უბედნიერესი დღეა კლუბისთვის, ეს უბედნიერესი დღეა ქალაქისთვის. მე კი ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი კი არა, ყველაზე ბედნიერი გულშემატკივარი ვარ!“

ყველაფერი ჯერ არც დასავლეთში გარკვეულა, მაგრამ ალბათ მალე გაირკვევა. „მინესოტას“ ერთი მარცხი ან „მემფისის“ ერთი გამარჯვება საბოლოოდ მოკლავს საპლეიოფო ინტრიგას. ოთხშაბათის შემდეგ კი ამ გუნდების ქომაგებმა ეგრეც ვერ დაიმშვიდეს გულები — „მემფისმა“ ჰიუსტონში წააგო, ხოლო „მინესოტამ“ შინ დასცა „გოლდენ სტეიტი“ და თეორიული შანსი შეინარჩუნა. მაგრამ ყველაფერი ალბათ მაინც მემფისელი „დათვების“ საკეთილდღეოდ დასრულდება, ეს გუნდი დამსახურებულად მოხვდება ზედიზედ მეორე პლეი ოფში.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა სოლტ ლეიკ სიტიში, სადაც იქაურმა და ერთობ უსუსურმა „იუტა ჯაზმა“ ერთ დროს პრინციპული მეტოქე თუმცა ახლა მასზე ათი თავით მაღალი „სან ანტონიო“ დასცა. „სფერზს“ ჯერც სულ ახლახან [illegible] ლიდერმა ტიმ დ[illegible] უშველა. მან [illegible] 17 ქულით [illegible] 3:17 [illegible] ლიდერობის [illegible].

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 56 | 21 | 72,7 |
| დეტროიტი | 51 | 27 | 65,4 |
| ბოსტონი | 43 | 35 | 55,1 |
| ჩიკაგო | 44 | 34 | 56,4 |
| ინდიანა | 43 | 35 | 55,1 |
| ვაშინგტონი | 43 | 35 | 55,1 |
| კლივლენდი | 40 | 37 | 51,9 |
| ფილადელფია | 39 | 38 | 50,6 |
| ნიუ ჯერსი | 38 | 40 | 48,7 |
| ორლანდო | 35 | 43 | 44,9 |
| ტორონტო | 32 | 46 | 41,0 |
| ნიუ იორკი | 30 | 47 | 39,0 |
| მილუოკი | 29 | 49 | 37,2 |
| შარლოტი | 17 | 61 | 21,8 |
| ატლანტა | 12 | 66 | 15,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 59 | 19 | 75,6 |
| სან ანტონიო | 58 | 21 | 73,4 |
| სიეტლი | 50 | 28 | 64,1 |
| დალასი | 54 | 24 | 69,2 |
| საკრამენტო | 48 | 30 | 61,0 |
| ჰიუსტონი | 48 | 31 | 60,8 |
| დენვერი | 47 | 31 | 60,3 |
| მემფისი | 44 | 34 | 56,4 |
| მინესოტა | 41 | 37 | 52,6 |
| კლიპერსი | 35 | 43 | 44,9 |
| ლეიკერსი | 34 | 44 | 43,6 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 48 | 39,2 |
| პორტლენდი | 25 | 52 | 32,5 |
| იუტა | 25 | 53 | 32,1 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 60 | 23,1 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს [illegible]*

# ბოკვერები კაბასა და კიმონოში



ვახტანგ ხარხელაური

**საქართველოში ძიუდო იმთავითვე პოპულარული იყო, მაგრამ ათენის ოლიმპიური თამაშების ტატამზე ჩვენი სპორტსმენების ბრწყინვალე გამოსვლამ ეს სახეობა ორმაგად მიმზიდველი გახადა. ძიუდოს სექციებზე გოგონათა მომრავლება სწორედ ათენის მერე დაიწყო. თბილისში ძიუდოისტ გოგონათა კლუბი „ბოკვერიც" დაარსდა, სადაც ისინი დიდი ინტერესითა და მონდომებით ეუფლებიან სპორტის ამ ლამაზ სახეობას. კლუბის მთავარი მწვრთნელი ვახტანგ ხარხელაური გახლავთ, რომელიც სამომავლოდ ჩამოსაყალიბებელ ქალ ძიუდოისტთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელადაც იმუშავებს**

— „ბოკვერი" სამიოდე წლის დაარსებულია — გვაამბობს ვახტანგ ხარხელაური — ამ საქმეში უდიდესი დახმარება ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა გაგვიწია. უმეტესწილად მისი დამსახურებაა, რომ გოგონები დღესდღეობით ინტენსიურად ვარჯიშობენ და გამალებით ემზადებიან მომავალი შეჯიბრებისთვის. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ გოგონები ძიუდოში „ბოკვერის" დაარსებამდეც ვარჯიშობდნენ.

**— მაინც, რამდენად დიდია ჩვენი გოგონების დაინტერესება ძიუდოთი? ისინი თქვენ მოიზიდეთ, თუ თავად გამოთქვეს სურვილი, რომ სპორტის ეს სახეობა აეთვისებინათ?**

— ამ ბავშვების უმრავლესობა ჯიუ ჯი ცუზე დადიოდა. თუმცა, მათი ინტერესი ძიუდოს მიმართაც დიდი იყო, მით უმეტეს, რომ იგი ოლიმპიური სახეობაა. არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანი პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზეც მოხვდეს. ძიუდოს მიმართ გოგონების ასეთი დიდი ინტერესი გვაფიქრებინებს, რომ მალე საქართველოში ეს სახეობა მათთვისაც ისეთივე პოპულარობით ისარგებლებს, როგორც ეს ვაჟებშია.

**— „ბოკვერის" წევრთაგან თუ გამოიკვეთა ვინმე, ვისზეც დიდ იმედებს ამყარებთ?**

— რა თქმა უნდა. ესენი არიან: ნათია და ნინო ოძელაშვილები, ნინო ხაჩიძე და ანა ძაძამია... მათ უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს. ასე რომ, დასაწყისი ურიგო შედეგი არაა. ჩვენი კლუბის წევრია აგრეთვე თამუნა ბიჩინაშვილი, რომელიც პირველი ძიუდოისტი გოგონაა, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოიპოვა საერთაშორისო შეჯიბრების მედალი. მან ამ წარმატებას ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბერში თურქეთის ქალაქ ანტალიაში მიაღწია, სადაც მესამე იყო. ერთი წლის შემდეგ კი იმავე ანტალიაში პრიზიორები ნათია ოძელაშვილი, თინათინ ქულოსაშვილი და ნაია ვეშაგური გახდნენ. იმ დროისთვის ეს საკმაოდ დიდი წარმატება იყო.

**— მაინც, რამდენადაა შესაძლებელი, რომ თუნდაც ერთი ძიუდოისტი გოგონა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდეს.**

— ეს დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დაგვაფინანსებენ. თუ ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნება, შეკრებებსაც გავივლით და ტურნირებში გამოვალთ, მერე კი წარმატებაც არ დახანებს.

პოტენციალი ძალიან დიდია. თითქმის ყველა. წონით კატეგორიაშია იმის შანსი, რომ სალიცენზიო ქულები მოვიპოვოთ. ბავშვებიც ამაზე ოცნებობენ და ცდილობენ, ყველაფერი გაიღონ ამ მიზნის განსახორციელებლად.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ ერთი ძიუდოისტი მაინც მოიპოვებს პეკინის ოლიმპიურ ლიცენზიას.

**— მაგრამ სალიცენზიო ტურნირებამდეც დიდი გზის გავლა მოგიწევთ.**

— ამ გზას ჩვენ უკვე მივუყვებით. წლეულს უკვე ორ უცხოურ შეჯიბრებაში გამოვედით, ვიასპარეზეთ ბოლნისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, ახლა კი იტალიაში გასამართი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ვემზადებით. მასში მონაწილე ასაკის გოგონები შედარებით გამოცდილები არიან და გვჯერა, რომ არ შეგვარცხვენენ...

**— „ბოკვერის" გარდა თბილისში კიდევ რამდენიმე კლუბია, სადაც გოგონები ვარჯიშობენ. რამდენადაც ვიცით, გოგონათა მომზადების თვალსაზრისით აქ მეტნაკლებად ნორმალური პირობებია, მაგრამ როგორი ვითარებაა ამ მხრივ რეგიონებში?**

— დაინტერესება რეგიონებშიც დიდია და ძიუდოში მომეცადინე გოგონათა სექციები იქაც ნელ-ნელა მატულობს. ასე რომ, ახლად ჩამოყალიბებული საქართველოს ნაკრები ბევრ ნიჭიერ ბავშვს მიიღებს.

**ლექსო მაისურაძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**












# ვარსკვლავი ბრუნდება

**ლეგენდარული** ამერიკელი მორბენალი მერიონ ჯონსი, რომელსაც არც ტიტულები აკლია და არც სკანდალური ისტორიები, სარბენ ბილიკზე დაბრუნებას ლამობს. რთული საქმე კია ხანგრძლივი უქმობის შემდეგ სარბიელზე გამოჩენა, მაგრამ ეს შავკანიანი ვარსკვლავი სიძნელეებს არასოდეს დაუფრთხია.

შეგახსენებთ, ათენის ოლიმპიური თამაშები მერიონისთვის ბოლო სარბიელი გახლდათ და მას შემდეგ არც ერთ შეჯიბრში არ მიუღია მონაწილეობა. ჯონსის სპორტული კარიერის დასასრულს ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე წინასწარმეტყველებდნენ. ეჭვები იმანაც გააღრმავა, რომ სახელმოხვეჭილმა ამერიკელმა ათენში ერთი მედალიც ვერ ირგუნა.

კვირას მერიონ ჯონსი ისევ ირბენს. 400 მეტრიან დისტანციაზე ერთადერთი მოწინააღმდეგე ეყოლება — იანა პიტმანი ავსტრალიელი.

იანა მსოფლიო ჩემპიონია 400 მეტრზე თარჯრბენში და ნაუქმარი მერიონისთვის მისი ძლევა საძნელო საქმე იქნება.

ამერიკელის მწვრთნელმა სტივ როდიკმა პროგნოზს თავი აარიდა, თუმცა ერთი კი აღნიშნა, მერიონს ძალუძს, 50 წამში ჩაეტიოსო.

**ლადო ჭულუკიძე**



# საოლიმპიადოდ სოჭსაც მოსავენ

**ჯერ** 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება არ მიუღიათ, არც არავინ იცის, საერთოდ მიიღებენ თუ არა და, რუსები უკვე 2014 წლის ზამთარზეც ფიქრობენ. გუშინ იქაურმა დუმელმა ჩინოსანმა, ექსჰოკეისტმა ვლადისლავ ტრეტიაკმა სოჭის კანდიდატურის წამოყენების ოდინდელი იდეა გაიხსენა. ნუ იტყვით და შავიზღვისპირა კურორტ „კრასნაია პალიანაზე" მსოფლიოს სტანდარტების სათხილამურო ტრასების აშენება უკვე გადაწყვეტილი ამბავი ყოფილა.

„რუსეთი ოლიმპიური ტრადიციებით მდიდარია და დიდი შეჯიბრებების სამასპინძლო ადგილებიც მრავლად მოგვეპოვება — ამბობს ტრეტიაკი — „კრასნაია პალიანა" ერთ-ერთი გამორჩეული იქნება. იმედია, ჩვენი ჩანაფიქრი სასურველი შედეგით დასრულდება და სოჭი ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს".

ჰოკეი

# ნეხვი ყინულზე გამოაქვთ

**გასულ** კვირას ნჰლ-სა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის გამართულმა მოლაპარაკების მორიგმა რაუნდმაც ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. თუმც ეს მოსალოდნელიც იყო. ის, რომ ლიგის წინადადებები მისთვის მიუღებელია, პროფკავშირმა ადრევე განაცხადა, და შეხვედრაზე მხოლოდ ოფიციალურად დადასტურდა ის ფაქტი, რომ ნჰლპა ოპონენტთა ორივე წინადადებას უარყოფს. თავის მხრივ ასოციაციამ არანაირი ახალი ვარიანტი არ წარადგინა და ერთადერთი, რაშიც მხარეები შეთანხმდნენ, მომდევნო შეხვედრების აუცილებლობა გახლდათ. ჯერჯერობით მორიგი რაუნდის თარიღი უცნობია.

ამასობაში ლიგამ მეორე საჩივარი შეიტანა აშშ-ს უმაღლეს ინსტანციაში, ეგრეთ წოდებულ NLRB-ში, რომელიც შრომით კონფლიქტებს განიხილავს. როგორც მოსალოდნელი იყო, საჩივარში ლიგა კატეგორიულად მოითხოვს, რომ პროფკავშირმა უარი თქვას მოთამაშეთა აგენტების შეშინების პოლიტიკაზე, თუ აგენტები ითანამშრომლებენ ნჰლ-თან და შემცვლელ ჰოკეისტებს წარმოადგენენ.

ახლა ისღა დაგვრჩენია, 20 აპრილისთვის დაგეგმილ ნჰლ-ს გენერალურ მენეჯერთა შეხვედრას დაველოდოთ. როგორც ვარაუდობენ, იქ ლიგა ოფიციალურად დაიწყებს შემცვლელი ჰოკეისტების გამოყენების ვარიანტის განხილვას.

ერთი სიტყვით, დავიდარაბა გრძელდება და მას ბოლო არ უჩანს, თუმც ლიგის მესვეურებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მომავალი სეზონი აუცილებლად ჩატარდება და ამისთვის ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ცხადია, ასეთ მძიმე ვითარებაში ნჰლ მაქსიმალურადაა დაინტერესებული, ჰოკეი უფრო სანახაობრივი და თვალსასეირო გახადოს. ბოლო ხანს ჩრდილოამერიკულ მასმედიაში დიდი პოლემიკა მიმდინარეობდა წესებში ცვლილების თაობაზე. სამსჯელოდ უამრავი სიახლე იყო წარმოდგენილი, მათ შორის ზოგი უალრესად რადიკალურიც. მაგალითად, „ბუფალოს“ გენერალურმა მენეჯერმა დარსი რეჟიემ კარების გადიდება და დამრგვალებაც კი მოინდომა. მისი აზრით, კარის ძელები მოლუნული უნდა იყოს და შესაბამისად მართკუთხედის მაგივრად ოვალის მსგავს კარებს მივიღებთ.

უნდა ითქვას, რომ ასეთმა ნოვაციებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია მეკარეებს შორის. ყველაზე მეტად „მონრეალის“ გოლკიპერი ჟოზე თეოდორი გაცხარდა.

„მაპატიეთ, მაგრამ ეს BULLSHIT-ია (მოგეხსენებათ, ინგლისურ ენაში ეს სიტყვა სრულ უაზრობას და ასევე, ბოდიშს ვიხდით, ხარის ფუნას თუ ნეხვს, ერთი სიტყვით, განავალს ნიშნავს). ეგებ ეს ვილაცის ცუდი ხუმრობა, მაგრამ თუ ასეთ წინადადებას მართლა მიიღებენ, დიდი შეცდომა იქნება. მეკარე ნორმალურად ველარ დაიცავს კარს“

— თქვა მონრეალელმა მეკარემ. ასეა თუ ისე, შაბათს ნჰლ-ის გენერალური მენეჯერების შეხვედრაზე ეს ვარიანტი განიხილეს წესებში კიდევ ათიოდე ცვლილებასთან ერთად. თუმც ჯერჯერობით მხოლოდ ორი სიახლე მიიღეს და ერთ-ერთი მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ. მის მიხედვით, საგრძნობლად შემცირდება მეკარეთა ამუნიცია: ფეხსაფრების სიგანე 12 დიუმიდან 10-მდე, სიგრძე ლამის 20 სანტიმეტრით, ხოლო ხელსაფარი ანუ ბლოკერი ერთი დიუმით დამოკლდება.

ერთი სიტყვით, ჯოხი კვლავ მეკარეებზე გადატყდა და ახალი სეზონიდან ისინი საგრძნობლად „დაპატარავდებიან“.

მეორე წესის თანახმად კვლავ შემცირდება მანძილი ბორტსა და კარს შორის. შეგახსენებთ, რამდენიმე წლის წინათ ლიგამ სწორედ თამაშის წახალისების მიზნით ეს მანძილი 11 ფუტიდან 13-მდე გაზარდა, რათა პლეიმეკერებს მეტი თავისუფლება მისცემოდათ კარს უკან მოხვედრისას, მაგრამ ამ სიახლემ ვერ გაამართლა და ნჰლ კვლავ ძველ სტანდარტს დაუბრუნდა. ამასთან, არ გავიდა რამდენიმე უფრო რადიკალური ცვლილება, მათ შორის ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზის“ გაუქმების და ფრის შემთხვევაში ბულიტების სერიის ჩატარების თაობაზე. ასევე ვერ გავიდა ცვლილება, რომლის მიხედვით მეკარეებს ეკრძალებოდა კარს უკან ყვანჯით თამაში.

**სამველ ღარიბიანი**

კრივი

# კრივი და კრიმინალი

**კრივი** რომ სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სახეობაა, ეს ვინ არ იცის, მაგრამ მარტო რინგზე მიღებული ნოკაუტებითაც არ შემოიფარგლება თურმე საქმე. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოკრივეები არიან სწორედ ის სპორტსმენები, რომელთაც კრიმინალები ყველაზე ხშირად უბედავენ თავდასხმას.

რამდენიმე დღის წინ მსუბუქ წონაში მოკრივე ამერიკელი გრეგ კუილერი ჰარტფორდში გულმკერდში ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. გამოძიებას ჯერჯერობით არც მკვლელი დაუკავებია და არც დანაშაულის მიზეზებისთვის მიუკვლევია.

თებერვალში რუსეთის ქალაქ როსტოვში მოკლეს პერსპექტიული მოკრივე როსტისლავ კაზანცევი. სამართალდამცავებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ სპორტსმენი დაქირავებულ მკვლელთა მსხვერპლი გახდა.

ისეც ხდება, რომ თავდამსხმელებს არ უმართლებთ. შარშან ივნისში მექსიკაში ორი პისტოლეტით შეიარაღებულმა უცნობმა ქვეყნის ჩემპიონს ესროლა, თუმცა მიზანს აცილა. არტურო რივერაც არ დაბნეულა, მომხვდურს მივარდა და ისეთი ილეთები ჩაუტარა, რომ დამნაშავე რეანიმატოლოგებმა ძლივს მოაბრუნეს.

ზოგჯერ კი თავად სპორტსმენებიც გვევლინებიან დამნაშავეთა როლში. ფილიპინელი მენი პაკიაო ორჯერ გახლდათ ეჭვმიტანილი მკვლელობის ორგანიზებაში, თუმც თავის დაძვრენა ორჯერვე მოახერხა.

**ლადო ფულუკიძე**

ჩოგბურთი



ნიკოლ ვაიდიშოვა

# წვრილფეხობის აღლუმი

### მონტე კარლო

### მესამე წრე

**როჟერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:2 6:7 (3:7) 6:4 გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:2 6:0; გილერმო კორია (6, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:6 (7:0) 6:1; რიშარ გასკე (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (10, რუსეთი) 4:6 7:5 6:2; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3 0:1 ფერერმა შეწყვიტა; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:7 (6:8) 7:6 (7:3) 6:4**

**ტურნირის** შარშანდელმა ჩემპიონმა გილერმო კორიამ ტიტულის დაცვა მორიგი მსუბუქი კეჭნაობით განაგრძო, იოლად სძლია რა რუმინელ კვალიფიკანტ ჰანესკუს.

უმძიმეს, სამსეტიან შეხლაში იმარჯვა და წინა კვირაში კასაბლანკურ ნახევარფინალში ნაწვნევი მარცხისთვის მარიანო პუერტაზე ზორბა ჯავრი იყარა იტალიელმა ფილიპო ვოლანდრიმ.

მასპინძელთა ბაირაღი მარტოჩოგნად იტვირთა 18 წლის ფრანგმა რიშარ გასკემ, რომელიც ჩვენი კლავიატურის საწიერში რაფაელ ნადალზე ერთი წლით ადრე, ანუ 2002-ში გამოჩნდა და ერთი პირობა მეტსახელად „პატარა უფლისწულიც“ კი დაგვტყუა, თუმცა მერე ნადალისებრ ველარ განვითარდა და ჯერაც ზეასეულიც მიღმა დაძრწის. ჰოდა, ამ ფონზე ერთობ სასიხარულოა, რომ მან მეათე ნომრად განთესილ ნიკოლაი დავიდენკოს აჯობა და კარიერის პირველ მასტერსმეოთხედფინალს უწია, სადაც თავის ზედიზედ 25-ე შეხვედრამოგებულ როჯერ ფედერერს შეხვდება.

ფედერერმა უმძაფრესი შეხლა გადაიტანა ღონიერ ჩილელ ფერნანდო გონსალესთან და, იმის მიუხედავად, რომ ამან მეორე სეტში 3:5-დან ამოუქაჩა და ტაიბრეიკზეც შედარებით იოლად მოუგო, გადამწყვეტ ხელში ამქრის ფასკუნჯმა კიდევ ერთხელ ცხადყო, ბეწვის ხიდზე გავლა აუთრთოლებლად რომ ჩოგანეწიფება.

### ჩარლსტონი

### მეორე წრე

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — მარი-ივ პელეტიე (კანადა) 6:2 6:2; ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 6:3 5:7 6:4; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 7:6 6:2; პატი შნიდერი (8, შვეიცარია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:2 7:5; აი სუგიამა (11, იაპონია) — ანალინა გრიონეფელდი (გერმანია) 6:2 6:4; ტატიანა გოლოვინი (13, საფრანგეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:4 6:3; ნურია ლლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) — მარი პირსი (15, საფრანგეთი) 6:4 7:6 (7:3); ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) — ფავიოლა სულუაგა (16, კოლუმბია) 6:3 6:1; ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) — შუაი პენი (ჩინეთი) 6:2 4:6 6:4**



რიშარ გასკე

**ანასტასია** მისკინას [illegible] მზადებას [illegible] ჩარლსტონის [illegible] ორე წრეში, სადაც რუსთა [illegible], ვინაც წლეულს ისედაც [illegible] ბურთაობს, სულაც 15 წლის ჩეხ ნიკოლ ვაიდიშოვასთან [illegible]. არადა, მოგეხსენებათ, მისკინა საფრანგეთის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონი გახლავთ, პირველი რუსი [illegible] მუზარადის [illegible] რომ [illegible], მთელი წინა სეზონი ვაგონივით [illegible] და წლის [illegible] ფედერაციის თასიც [illegible] ამ სეზონში კი კოხტა [illegible] და აზრზე ვერ მოვიდა — სეზონთშორის არდადაგებზე მეტისმეტად ნაუქმარმა თუ, პირიქით, [illegible] ვერ მოისვენებულმა [illegible] რიტმი ეგრეც ვერ აღიდგინა და, თუკი რამ წასაგები იყო, ყველაფერი წააგო. ახლა კი მთლად გოგოცუნასთანაც წაიფორხილა. ნამატჩევს ნორჩი ნიკოლი, ცხადია, ცხოვრების უდიდეს გამარჯვებაზე ჭყლოპინებდა, მისკინა კი თავის ცუდ თამაშს [illegible] და ჩოგანს ასავსავებდა.

სხვაფრივ — [illegible] ბაზე ნატიტულარი [illegible] ნპორტი დოსტოლრივ [illegible] ტინგსის 129-ე ადგილზე [illegible] კანადელ მარი-ივ პელეტიეს და [illegible] უჯანჯლებლივ მოთელა. [illegible] მომქანცველი წინა კვირის [illegible] მატჩი ასე მალე რომ [illegible], ამბობდა ის მერე და, [illegible], არ ტყუოდა.

აი, წინა კვირაში მისგან [illegible] ულ ვინუს უილიამს კი [illegible] სეირნება არც ამ ჯერზე [illegible] და და ჩეხ დენიზა ჰლადკოვას [illegible] ორე სეტში მხოლოდ მას [illegible] გადაურბინა, რაც რომ [illegible] სატაიბრეიკო ბულრაობაში [illegible].

**არტემ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაესტრანსას სეზონი

სევილიაში, მაესტრანსას წიდიან არენაზე კვლავაც ჩაუქობენ ესპანელი მატადორები. გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ზოგს კოხტად გამოსდის მკვლელობა, ზოგს კი ვერა. აი, ენრიკე პონსე ფანდს უმზადებს მისკენ დაძრულ ხარს, დავილა მიურა კი, ასე რომ ჩაშტერებია ხარის კისერს, გადამწყვეტ დარტყმას ამზადებს. ყველაზე ცუდად ხესული დე ტორეკერას წასვლია საქმე — ხარს რქაზე წამოუგია.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,
კობა ინასარიძე, ილია ნაჭარაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხიმერიკი, ვაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე,
რომან მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრიხიაძე, ეკატო ლეჟავაშვილი,
მაკა დოვრაშვილი, ზურაბ ძოხაძიშვილი, თენგიზ ყიფშიძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge